ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

1906 წ.
20 ნოემბერი

ახალი დროება

ორშაბათი

№ 2 ყოველკვირეული გაზეთი № 2

რედაქციის ადრესი:

თბილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. № 102.

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე.

კანტორა ხელის-მომწერთათვის ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. პროფ. კავშირების ადგილობრივი ცენტრი. 2. ფელეტონი, ა) სურვილი, ბ) „ბოიკოტი“. 3. მუშათა მოძრაობა და პროფ. კავშირები: ა) თბილისი, ბ) რუსეთი. 4. საზღვარ-გარეთ: ა) იტალია და ბ) გერმანია. 5. სტატისტიკა. ავსტრო-უნგრიის მუშათა კავშირები. 6. შრომის „ბირჟა“ და ქალაქის თვითმართველობა. 7. დამატება. სიტყვების ახსნა.

ყოველკვირეული გაზეთი

„ახალი დროება“.

გამოვა ორშაბათობით.

გაზეთის ფასი ხელის-მომწერთათვის:

თბილისში:	ერთი წლით	5 მანეთი,	
„	ნახევარი წლით. . . .	2 „	50 კაპ.
„	სამი თვით.	1 „	25 „
„	ერთი თვით	—	40 „
თბილისს გარეთ:			
„	წლით.	6 მან.	
„	ნახევარი წლით	3 „	
„	სამი თვით	1 „	50 კაპ.
„	ერთი თვით	—	50 „
საზღვარ-გარეთ:			
„	ერთი წლით	8 მან.	
„	ნახევარი წლით. . . .	4 „	
„	სამი თვით.	2 „	
„	ერთი თვით.	—	80 კაპ.

ცალკე ნომერი ღირს ორი შაური.

მუშათა პროფესიონალური კავშირების ადგილობრივი ცენტრი.

ჩვენ გავიგეთ, რომ ამას წინათ მომხდარა თბილისში მუშათა კავშირების წარმომადგენელთა საერთო კრება. კრებას გადაუწყვეტია ცალკე კავშირების შეერთება და საერთო ადგილობრივი ცენტრის დაარსება, შეუმუშავებია წესდების პროექტი და მიუნდვია ორგანიზაციული კომისიისთვის მისი გავრცელება. ეს პროექტი უკვე ვრცელდება მუშებში, ის დღეს ხელიდან ხელში გადადის, პროექტს გულდასმით არჩევენ თბილისის კავშირები და, როგორც ეტყობა, ყველა ცდილობს აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის აწონ-დაწონაში.

ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე ამბები ხდება რუსეთის სხვა ქალაქებში: იქაც იმართება კავშირების წარმომადგენელთა საერთო კრებები, იქაც იწერება წესდების პროექტები, იქაც არსდება ადგილობრივი ცენტრები და სხვა.

ვიცით აგრეთვე ის, რომ ერთ დროს ევროპა-ამერიკის ქალაქებშიც ხდებოდა ეს მოვლენა და, კაი ხანია, არსებობს იქ უკვე დაყალიბებული ადგილობრივი ცენტრები...

ცხადია, მუშათა კავშირების ადგილობრივი ცენტრი საჭირო ყოფილა პროფესიანალური მოძრაობისთვის.

ამიტომ, კარგი იქნებოდა გაგვეგო: რისთვის არის საჭირო კავშირების ადგილობრივი ცენტრი? როგორ უნდა დააკმაყოფილოს ამ ცენტრმა კავშირების მოთხოვნილება? რა უფლება ექნება მას? როგორ უნდა აირჩეს ის? და სხვა...

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჯერჯერობით ამ კითხვებზე თითქმის არაფერი არა დაწერილა რა ჩვენს პრესაში.

მაშ ასე. რისთვის არის საჭირო პროფესიონალური კავშირების ადგილობრივი ცენტრი?

ყველაზე პირველათ იმისთვის, რომ ერთმანეთს დაუკავშიროს უკვე არსებული კავშირები და ზურგი გაუმაგროს მათ.

თუ დღეს პროფესიონალური კავშირების საქმე საუურველათ ვერ მიდის,—ეს, სხვათა შორის, იმითი აიხსნება, რომ ისინი განცალკევებულათ მოქმედებენ. კავშირების გასაძლიერებლათ საჭიროა, მაგალითათ, პროფესიონალური გაზეთი და ბროშურები. ცალკე კავშირები კი, ჯერჯერობით მაინც, ვერ შესძლებენ თავ-თავიანთი გაზეთის გაძღოლას,—ამისთვის არც საკმაო ფული აქვთ და არც კაცები ჰყავთ; მაგრამ, თუ ცალკე კავშირები ხელს გაუწოდებენ ერთმანეთს, თუ ისინი თავიანთ კაპეიკებს შეაერთებენ, თუ ისინი თავიანთი წრიდან გამოყოფენ შესაფერ კაცებს, საერთო ცენტრს,—მაშინ შესაძლებელი იქნება საერთო პროფესიონალური გაზეთის დაარსება, რაც ასე საჭიროა კავშირების გასაერთიანებელ-გასაძლიერებლათ.

კავშირების გასაძლიერებლათ საჭიროა კიდევ გაფიცვების გაძღოლა, თავის დროზე ფურცლების მოწოდება და სხვა; ცალკე კავშირებს-კი ყოველთვის არ მოეპოვებათ ამისთვის საჭირო კაცები,—ხშირათ შეხვდებით მუშებს, რომლებიც მთელი კვირაობით დაეძებენ ფურცლების დამწერს და ვერ პოულობენ; ცხადია, აქაც საჭიროა საერთო ცენტრი, რომელიც იდეიურ დახმარებას გაუწევს გაფიცვას და მუდამ მზათ იქნება ფურცლები მიაწოდოს ამხანაგებს. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ საერთო გაფიცვაზე, სადაც პირდაპირ აუცილებელია ყველა კავშირებისაგან არჩეული საერთო ცენტრი, რომელიც შესამჩნე-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ვათ გააადვილებს კავშირების ერთმანეთთან დაახლოვებას, მოლაპარაკებას გამართავს სოციალისტურ პარტიებთან და, საერთოთ, საჭირო დახმარებას გაუწევს საერთო გაფიცვას. ესევე უნდა ითქვას მომავალ არჩევნებზე.

რაც შეეხება უმუშევრების შეერთებას და მათს „დახმარებას“, თავისთავათ ცხადია, რომ ამისთვის ცალკე კავშირები საკმარისი არაა: ისინი ვერც საჭირო ცნობებს შეკრებენ შესახებ თავისუფალი ადგილებისა და ვერც ჯეროვან გავლენას იქონიებენ ქალაქის თვითმართველობაზე,—საჭიროა საერთო ცენტრი, სადაც თავისთავათ მოიყრის თავს ყველა ცნობები, რომელიც, ყველა კავშირების სახელით, გამოუცხადებს თვითმართველობას პროლეტარიატის ნებას და აიძულებს მას საჭირო ფული გადადოს უმუშევრებისთვის. ასეთი ცენტრი, გარდა იმისა, რომ ერთმანეთს დაუახლოვებდა როგორც ცალკე კავშირებს, ისე კავშირებსა და უმუშევრებს,—ასეთი ცენტრი ერთგვარ ფოკუსთ გადიქცეოდა, სადაც თავს მოიყრიდა ცალკე კავშირების გამოცდილება და შემდეგ მთელ პროლეტარიატს მოეფინებოდა.

ამგვარათ, უკვე არსებულ კავშირების ერთმანეთთან დაახლოვება და მათი გაძაგრება,—აი ყველაზე პირველათ რისთვისაა საჭირო კავშირების ადგილობრივი ცენტრი.

მაგრამ, კავშირებში ყველა პროლეტარები არაა მოქცეული, იქ მხოლოთ პროლეტარიატის უმცირესობა შედის. არის კიდევ აუარებელი პროლეტარები, რომლებსაც უნდათ შეერთება, სწყურიათ კავშირები, მაგრამ არ იციან როგორ შეერთდენ, არ იციან როგორ მოაწყონ კავშირები. ვინ უნდა გაუძღვეს მათ ამ წმინდა საქმეში, ვინ უნდა აუხსნას მათ კავშირების მნიშვნელობა, ვინ უნდა მოუწყოს კავშირები? ცალკე კავშირები ამას ვერ იკისრებენ, რადგანაც თავიანთ საქმეებსაც ძლივს უძღვებიან; „კერძო“ პირები კი ყოველთვის არ მოიპოვებიან; ცხადია, საჭიროა კავშირებმაც ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, აირჩიონ საერთო ცენტრი და მიანდონ მათ ამგვარი მუშების შეკავშირება. ეს მით უფრო ბუნებრივია, რომ საერთო ცენტრში ისედაც გამოცდილი კაცები იქნებიან, პროფესიონალური გამოცდილება კი ისე არსად არაა საჭირო, როგორც კავშირების დაარსების დროს.

ამგვარათ, ახალი კავშირების მოწყობა და მათთვის დახმარების გაწევა,—აი კიდევ რისთვისაა საჭირო კავშირების ადგილობრივი ცენტრი.

როგორ უნდა დაკმაყოფილოს ადგილობრივმა ცენტრმა კავშირების საერთო მოთხოვნილებანი, რა არის ამისთვის საჭირო?

თქმა არ უნდა, რომ აქ ყველაზე პირველათ საჭირო იქნება ფული, რომელსაც კავშირები მიაწოდებენ ადგილობრივ ცენტრს; საჭიროა აგრეთვე გამოცდილი კაცები, რომლებსაც იგივე კავშირები აირჩევენ ცენტრისთვის. მაგრამ ეს კიდევ საკმარისი არაა. კავშირების ადგილობრივ ცენტრს რამდენიმე მთავარი ფუნქცია აქვს: კავშირების გაერთიანება, გაზეთისა და ფურცლების გამოცემა, გაფიცვების მოწესრიგება, უმუშევრების „დახმარება“, ახალი კავშირების მოწყობა, ძველების გაძლიერება-გამაგრება. საჭიროა ყველა ამ ფუნქციებისთვის ცალკე კომისიები დააარსოს ცენტრმა,—უამისოთ შეუძლებელია ამ ფუნქციების გაძღოლა. ეს კი იმასა ნიშნავს, რომ ცენტრის გარშემო, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ოთხი კომისია მაინც იქნება თავმოყრილი: ლიტერატურული კომისია, გაფიცვების კომისია, უმუშევართა კომისია და კავშირების მოწყობი კომისია. ამ ორგანოების შეწყობით უნდა გაუძღვეს ადგილობრივი ცენტრი კავშირების საერთო საქმეებს. რაც შეეხება კავშირების გაერთიანებას, კავშირების ცენტრის მოვალეობაა მათი კონფერენციები და სიეზდები მოაწყოს ხოლმე და მით ერთმანეთს დაუახლოვოს სხვა-და-სხვა პროფესიონალური კავშირები.

ასე უნდა დააკმაყოფილოს კავშირების ცენტრმა მათი საერთო მოთხოვნილებანი.

რა უფლება უნდა ჰქონდეს ამ ცენტრს ცალკე კავშირებთან შედარებით, შეეძლება თუ არა თავისი უფლებით გაფიცვის გამოცხადება, წესდების შეცვლა და სხვა ამგვარი კითხვების გადაწყვეტა?

ჩვენ ვამბობთ, რომ არასოდეს! დღეს, როცა პროფესიონალური კავშირები გაჭირვებით ეწყობა, როცა კავშირების ცენტრსა და მასას შორის პოლიციური კედლებია ამართული, შეუძლებელია ისე კარგა დაუახლოვდეს ცენტრი მუშათა ფართე მასას, რომ მუდამ სისწორით გამოიცნოს მისი სულისკვეთება,—პირიქით—აქ შეცდომები მოსალოდნელია ყოველ ფეხის გადადგმაზე. ამიტომ უგონობა იქნებოდა, თუ კავშირების ცენტრს მივანდობდით გაფიცვისა და სხვა დიდი კითხვების გადაჭრას. ჩვენი აზრით, ამისთანა კითხვებს თითონ კავშირები უნდა სჭრიდენ, ისინი უფრო ახლო დგანან ფართე მასასთან, და უეჭველია, უფრო სისწორით გამოხატავენ მის სულის კვეთებას. ცენტრი მხოლოთ ხელს უნდა უწყობდეს ცალკე კავშირებს ფურცლებისა და გაზეთის გამოცემით, ორგანიზატორებისა და აგიტატორების მიწოდებით უკვე დაწყებული გაფიცვების მოსაწესრიგებლათ, ფულის შეკრებით, უმუშევრების „დახმარებით“, რჩევის მიცემით და სხვა. ცენტრის როლი დახმარებასა და ხელის შეწყობაში უნდა გამოიხატებოდეს, კავშირებს თავიანთი ავტონომია უნდა ჰქონდეს.

ასეთი უნდა იყვეს ცენტრის უფლებები.

როგორ უნდა აირჩეს კავშირების ცენტრი, პირდაპირი არჩევნებით თუ „ეტაჟებიანით“?

ამბობენ, რომ ცენტრის წევრები კავშირების ბიუროებმა უნდა აირჩიონ, და არა თითონ კავშირებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრი პირდაპირ დამოკიდებულებას გამართავს მასასთან და ბიუროები მეტ ბარგათ შეიქნებაო. ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი შეხედულება მოკლებულია ყოველივე საფუძველს. ჯერ ერთი, რომ კავშირების ბიუროებს და საერთო ცენტრს თავიანთი განსაზღვრული საქმეები აქვთ და, მაშასადამე, შეუძლებელია ერთის მოქმედებამ მეორეს შეუშალოს ხელი. მეორეთ, თუ ცენტრს პირდაპირი დამოკიდებულება ექნება მასასთან, თუ მას თითონ კავშირები აირჩევენ და არა მათი ბიუროები, ამას მხოლოთ ის შედეგი მოჰყვება, რომ ცენტრი და მასა ერთმანეთს გაეცნობიან, ცენტრი ვალდებულათ ჩასთვლის თავის თავს პირდაპირ მასას წარუდგინოს ანგარიში, მასა, თავის მხრივ, კანტროლის დაარტყამს კავშირების ცენტრს და თვითმოქმედებას შეეჩვევა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ შედეგს კარგი შედე-

გი უნდა დაერქვას. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა პეტერბურგელი ბრაქტიკის გრინევიჩის აზრი. აი რას ამბობს ამაზე გრინევიჩი:

„დღემდის ცენტრალურ ბიუროს წევრებს კავშირების ბიუროები და საბჭოები ირჩევდენ; ესენივე იღებდენ ანგარიშს ცენტ. ბიუროს წევრებისგან. მაგრამ თუ ცენტრ. ბიუროს წევრებს კავშირთა საერთო კრებები აირჩევენ, თუ ანგარიშსაც ამ კრებებს წამოუყენებენ, მაშინ ორნაირი მიზანი იქნება მიღწეული: ცენტრალური ბიურო მუშათა მასას დაუახლოვდება, ხოლო მის მოქმედებას მხარს დაუჭერს მასა, როგორც ზნეობრივათ, ისე ნივთიერათ'' (იხ. „Значеніе и задачи центральныхъ бюро". Умбрентъ. წინასიტყვაობა გრინევიჩისა. 13 გვ.)..

რაც შეეხება კავშირების ცენტრის სახელწოდებას, თავისთავათ ცხადია, რომ ამას არავითარი გადამჭრელი მნიშვნელობა არა აქვს კავშირებისთვის. იტალიაში ამისთანა ცენტრს „მუშათა კამერას" ეძახიან, საფრანგეთში — „შრომის ბირჟას", გერმანიაში—„პროფეს. კავშირების კარტელს", ინგლისში—„მუშათა საბჭოს". მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც ყველგან ერთნაირ ფუნქციებს ასრულებენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენში უფრო შესაფერი იქნებოდა ასეთი სახელწოდება: „ცენტრალური საბჭო მუშათა პროფესიონალური კავშირებისა". სიტყვა „საბჭო" საჭიროა იმისთვის, რომ ნათლათ აღინიშნოს ცენტრის სათანბარო ხასიათი, რომელიც დიდ კითხვების გადაჭრას თითონ კავშირებს უთმობს; საჭიროა აგრეთვე სიტყვა „ცენტრალური", რადგან საბჭოები ცალკე კავშირებსაც ექნებათ, და სასურველია ერთმანეთში არ აგვერიოს ეს ორი სხვა და სხვა ნაირი საბჭო; რაც შეეხება სიტყვას „მუშათა", ჩვენი აზრით ესეც საჭიროა, რადგანაც პროფესიონალური კავშირები და მათი ადგილობრივი ცენტრები მუშებს გარდა კაპიტალისტებსაც გააჩნიათ.

ასეთია საერთო ფიზიონომია მუშათა პროფესიონალური კავშირების ადგილობრივი ცენტრისა.

როგორც ხედავთ, თბილისის მუშათა კავშირები არ შემცდარან, როცა მათ საერთო ცენტრის დაარსება გადაუწყვეტიათ,

ცხადია აგრეთვე ის, რომ ამ ცენტრის მნიშვნელობაც წესიერათ შეუგნიათ.

და რაც უფრო გულდასმით შეუდგებიან ისინი ამ ცენტრის შედგენას, რაც უფრო საძირკვლიანათ მოჰკიდებენ ხელს კავშირთა გაერთიანების საქმეს, მით უფრო მკაი მომავალი ექნება თბილისის პროფესიონალურ მოძრაობას. თუნდაც რომ რეაქცია მძვინვარებდეს, თუნდაც რომ ქვეყანა ციხეთ გადააქციონ...

მოძრაობა მაინც თავისას გაიტანს! **კო...**

ფელეტონი

სურვილი.

ვისურვებდი—სახელმწიფო სხვაფრივ მოეწყობოდეს
და სურვილი—საქმეთ იქცეს, ადრე მოგვესწრებოდეს:
დღევანდელსა შეტ ხარჯებსა ბოდო მოედებოდეს,
გენერლებ-ჩინოვნიკები ადარ დაგვჭირდებოდეს.

—

ჭირადობა და სიკეთე არვის ეკარგებოდეს
და დღეიდან უსამართლოდ არვინ იჩაგრებოდეს,
ყოველივე სამართალი ხალხში გადაწყდებოდეს,
მსაჯულება შესაფერი კუთხე-კუთხე ხდებოდეს.

—

ხალხთა ომი საზიზღარი დღიდან მოისპობოდეს,
ეველა ქვეყნის სამართალი სინდის-ქვეშა წყდებოდეს,
დღევანდელი მეომრები მშრომელთ ემატებოდეს,
უთვალავი მათზე ხარჯი სწავლას მოხმარდებოდეს.

—

მრეწველობა და ტექნიკა ეველგან ვითარდებოდეს,
მიწის გულში სასარგებლო ცეცხლთ არ-რა რჩებოდეს,
გვარტომობითა არავინ არვის შესძულებოდეს,
თავისუფლება, ერთობა, ძმობა დამკვიდრებოდეს.

—

კონტრაბანდათ სიტყვა-ბეჭდვა ადარ ჩაითვლებოდეს,
ხალხთა კრება, ლაპარაკი არვის დაეშლებოდეს,
„სასულიერო მამები" ქვეყნათ ადიგვებოდეს,
„ადამიანი გიყვარდეს"—მცნებათ დაიდებოდეს...

კირკა.

გოიკოტი

(სურათი ვაჭართა ცხოვრებიდან).

ქალაქის საათმა ექვსი დაკრა. მიხეილ გვიზიანიძემ გამოაღო დახლი, გადათვალა ერთი დღის ნავაჭრი, ამოიღო უბიდან ბრტყელი პორტმანი და ჩაალაგა შიგ ფულები; თან ცხვირში ბურდღუნებდა და წყევა-კრულვას უგზავნიდა მათ, ვინც ასე ადრე დუქნების დაკეტვა დააწესა. ერთი ლაზათიანათ დაამთქნარა მიხეილმა, პირჯვარი გადიწერა და რიხიანათ შესძახა იქვე კარებთან მდგომ პატარა ბიჭ ვანოს.

— აბა, ვანუა! ჩქარა მიალაგ-მოალაგე აქაურობა და წავიდეთ სახლში. კალათის წამოღება არ დაივიწყო, სანოვაგე უნდა წავიღოთ.

ვანო ზანტად მოტრიალდა. მთელი დღის ფეხზე დგომით ვანო საშინელ დაღლილობას გრძნობდა. მისი მიბნედილი და ჩალმავებული თვალები აშკარათ მოწმობდენ რომ ძილი და მოსვენება მისთვის აღკრძალული ხილი იყო. ვანომ აალაგა კარებში გამოფენილი სავაჭრო, გამოიტანა ოთახიდან კალათი, მონახა სადღაც იაშიკებშუა შეკუშული თავისი შავი, გაფხეკილი კოზირიანი ქუდი, დაიხურა თავზე და მოკრძალებით გაჩერდა ხაზეინის წინ. მიხეილმა პირჯვარი გადიწერა და წამოდგა ზეზე. გულმოდგინეთ დაათვალიერა ყველაფერი, უსურვა თავის სავაჭროს მშვიდობიანათ დახვედრა და გამოვიდა გარეთ. დაადო დუქნის კარებს ვეებერთელა ბოქლომი და გაუდგა შინისაკენ.

მიხეილ გვიზიანიძეს თავისი საკუთარი ორსართულიანი სახლი ქონდა. ზევითა სართულში თვითონ ცხოვრობდა ცოლშვილით და ქვედა სართულს ქირით აძლევდა. გვიზიანიძეს წინათ პატარა სავაჭრო დუქანი ქონდა, მარა რამდენიმე ხნის განმავლობაში თავისი გაიძვერაობით და გაქნილობით იმდენი შეიძინა, რომ ორსართულიანი სახლი წამოჭიმა და სავაჭროც გააფართოვა. სახლში ძალიან მდიდრულათ ცხოვრობდა გვიზიანიძე. მისი სადგომი ხუთი ოთახიდან შესდგებოდა; ოთახები ძვირ-

ფასი ავეჯეულობით იყო მორთული. საღამოს შვიდი საათის ნახევარზე თბილ და გაბრწყინებულ სასადილო ოთახში მას მუდამ მოჩუხჩუხე სამოვარი ელოდა სტოლზე. ჩვეულებრივათ მას კარებში ცოლი მიეგება, ტკბილათ მიეალერსა და ჩამოართვა პალტო. მიხეილმა ჩამოისვა წვერზე ხელი და მიუჯდა სტოლს. ცოლმა საჩქაროთ დაუსხა ჩაი და მიართვა.

— უჰ! ამოიხვნეშა მიხეილმა—რა კარგია დასვენება და ტკბილი ცხოვრება. მთელი დღე ამ დასაქცევ დუქანში ვგდივარ და მაინც არაფერი ხეირია.

— მართლა, როგორ მიდის ვაჭრობის საქმე?—შეეკითხა ცოლი.

— ნუღა იკითხავ თუ ღმერთი გწამს, აბა როგორ უნდა მიდიოდეს ეხლანდელ დროში. ქვეყანა აირია, ძალლი პატრონს ვერ ცნობილობს, აღარც დიდი იციან და აღარც პატარა. დიდება შენ, ღმერთო! რას მოვესწარით ამას? კაცი ქუჩაში ველარ გამოსულა, რომ იყიდოს რამე. ცუდი დრო დაგვიდგა, კეკელო, ცუდი! ამ წელიწადში ძალიან ვიზარალებთ, მარა ღმერთი მოწყალეა, მშვიდობით ვიყოთ და სხვას არაფერს ვჩივი. ამოდენა კაცი ვარ და ასეთი საძაგელი დრო არ მახსოვს. ამასთან, წარმოიდგინე, იმის ნებაც კი არ გაქ, რამდენ ხანსაც გინდა ივაჭრო; უსათუოთ ექვს საათზე უნდა შეწყვიტო ვაჭრობაო. გესმის, კეკელო! გვიბრძანებენ კიდეც და თუ გაჯიუტდი და არ შეასრულე ეს ბრძანება —ვაი შენი ბრალი. მადლობა ღმერთს!

— ღმერთია მოწყალე, მიხეილ! სულ ასე ხომ არ იქნება, გამოიცვლება ღრო,—ანუგეშა ქმარი კეკელამ.

— კარგი დაგემართოს კარგი, იმედი, მაგრამ ჩვენ კი ტყავი გაგვძვრება ამ იმედში და მერე ქვა-ქვაზედაც ნულა ყოფილა. მართლა, კინაღამ სულ დამავიწყდა, ხვალისთვის სანოვაგე მოვიტანე და ნახე კეკელო. ბიჭმა მოიტანა და სამზარეულოში იქნება. ხორცი, პური და მწვანილი ვიყიდე.

კეკელა საჩქაროთ წამოდგა და წავიდა სამზარეულოსკენ.

მთელი დღის აუტანელი შრომით დაღლილ-დაქანცული ვანო შევიდა სამზარეულოში, დადგა კალათი სტოლზე, ჩამოჯდა იქვე მდგომ სკამზე და ორი წუთიც არ გასულა, რომ ტკბილათ ჩასთვლიმა; ის ხედავს სიზმარში თავის სოფელს, მინდორ-ველს, თავის ტოლ-ამხანაგებს; ვანოს ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნათ, ქვეყანა მისია, ის სიმღერით მიდის მინდვრისაკენ, სადაც მას ტოლ-ამხანიგები იწვევენ ბურთის სათამაშოთ. აი თვალგადუწვდენელი მინდორი, სადაც თავი მოუყრია პატარა ბიჭებს და ერთი ამბავი აქვთ. ვანოს სიხარულს საზღვარი არა აქვს, აი გავარდა ბურთი, ვანოს თვალები ცეცხლივით აენთო, ის მოუთმენლათ ელის როდის ჩამოვარდება ბურთი, რომ დასტაცოს ხელი და მოკურცხლოს დანიშნულ ადგილისკენ; აჰა, ჩამოვარდა ბურთი, ვანო შურდულივით გაექანა იქითკენ და ის იყო დასწვდა კიდეც ასაღებათ, რომ ამ დროს ვიღაცის მუჯლუგუნი მოხვდა და სიმწარით თვალები დააჭყიტა. მის წინ განრისხებული კეკელა იდგა.

— არა, შე გასატიალებელო, მუდამ ძილი გაგიგონია, დუქანშიც გძინავს, აქაც გძინავს, როდის უნდა გააკეთო საქმე შე მურტლიანო, შენა! აბა მიპასუხე ჩქარა, ამ პურზე ნაჭერი არ იდო?—დაუყვირა მან და ხელი კალათისკენ გაუშვირა.

ვანო ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო სიზმრებიდან, მას ვერ წარმოედგინა როგორ მოხდა ეს, რომ ის უცბათ აქ გაჩნდა, ის ხომ ბურთს თამაშობდა მინდორში? მას ვერ გაეგო ვინ იყო ეს ქალი მის წინ, ან რა უნდოდა. კეკელას მოთმინება დაეკარგა.

— ადე შე ცინგლიანო! რას დაგიჭყეტია თვალები, ველარ მიცანი? მე ვარ კეკელა და გეკითხები, ამ პურზე ნაჭერი იდო თუ არა? თუ იდო რა იქნა?

ვანო ბოლოს გამოირკვა. მას მოაგონდა, რომ ის კარგა ხანია მოშორდა სოფელს და რაც ნახა ეს სიზმარი იყო. მოაგონდა, რომ ის გვიზიანიძესთან მსახურებდა დუქანში და სწრაფათ წამოდგა ზეზე.

— არ ვიცი, ქალბატონო, ნაჭერი, პური იდო თუ არა? ბოლოს ძლივს წარმოსთქვა მან.

— არ ვიცი—რომელია, თქვი ჩქარა, შეჭამე?—დაუყვირა კეკელამ და სწვდა თმაში. ვანომ საშინელი ტკივილი იგრძნო.

— არ შემიჭამია და ტყუილათ ნუ მცემთ, თვითონ ხაზეინმა ჩაალაგა კალათში და მე არც ვიცი რა მომქონდა.

— შე ქურდო! შე ავაზაკო! შენ შეჭამდი, შენ! ნაჭერი რომ არ ყოფილიყო პურზე შეუძლებელია, ისე ზომიერათ ვერ მოწონიდენ. თქვი ჩქარა, შეჭამე?—გაალმასებული უყვიროდა კეკელა და თან თმას ეწეოდა.

— არ შემიჭამია.

— კი შეჭამე, თქვი.

— ნუ მცემ, ქალბატონო, ნება არა გაქვს.—გაბრაზებით უპასუხა ვანომ და ხელიდან დაუსხლტა.

— უი ქა! რა თქვი შე ეშმაკის შვილო! ნება არა მაქვს რომ გცემო? მემუქრები კიდეც? მაშ გაჩვენებ როგორ უნდა ცემა—დაუყვირა კეკელამ და გაიქცა ქმართან.

მიხეილს ის იყო გაეთავებინა ჩაი და სავარძელში გადაწოლილი ფიქრებში გართულიყო. კეკელას შესვლაზე ის საშინლათ შეშინდა და თვალების ცეცება დაიწყო აქეთ იქით. შიშით ენა ჩაუვარდა და დიდხანს ხმა ვერ ამოეღო, ბოლოს, როგორც იქნა, წამოილუღლუღა.

— მოვიდენ! კეკელო! მოვიდენ? დღეს წერილი მივიღე, ფულები მოგვეცით მწერდენ და ალბათ მოვიდენ. რა ვქნათ? ხომ მოგვკლენ ეხლა?

— რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი, ვინ მოვიდენ, რის მოვიდენ. არც არავინ მოსულა და არაფერი. შენ ნახე ერთი რა ამბავია შენ ოჯახში! ასეა ქურდ და ავაზაკს რომ შემოიყვან ოჯახში. ქურდობენ და კიდევ იმუქრებიან.

— რა ამბავია, კეკელო, ღვთის გულისთვის გამაგებიე!

— რა ამბავია და შენი ცინგლიანი ვანუა რომ არის, პური შეუჭამია; რათ შეჭამე მეთქი, ვკითხე და ცოტა თმაც ავუწიე და დამიყვირა ნება არა გაქვსო. გაგონილა? უნდა გამოზარდო, ასვა, აჭამო მურტლიან ბიჭს და მადლობის მაგიერ ქურდობენ და კიდეც იმუქრებიან. წადიდეთ მიხეილ, შენ თვითონ გამოკითხე რათ მოიპარა პურის ნაჭერი.

კეკელამ მოკიდა ხელი მიხეილს და ისიც მორჩილებით გაყვა სამზარეულოსკენ.

ვანო გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილს და არც კი შეუხედნია, როცა კეკელა და მიხეილი შევიდენ სამზარეულოში.

— ეხლაც უარს იტყვი, შე წუწკო, არ შემიჭამიაო?— მრისხანედ დაუყვირა კეკელამ.— ხომ იყო ნაჭერი პური მიხეილ?

— როგორ არა, იყო და კაი დიდი ნაჭერიც. აბა გავშინჯო. ის მივიდა კალათთან და გაშინჯა.

— მე თვითონ ჩავდევი და მა რა ჯანდაბაში არის. რათ არ ამბობ ბიჭო თუ შეჭამე – მიუბრუნდა ის ვანოს.

— არ შემიჭამია – წამოისროლა ვანომ.

— მაშ მე შევჭამე, შე ვირო? განა იმიტომ მომაბარეს შენი თავი, რომ ქურდობა ისწავლო? არ გეყოფა ჭამა და კიდევ იპარავ?—დაუყვირა მან და მუჯლუნუნი წაკრა თავში.

— ნუ მცემ ხაზეინო! წამოიძახა ვანომ.

— გცემ და მეტსაც გიზამ, შე საზიზღარო, საპრასე არ მომიჭამო შენ თუ გცემე, სანამ არ იტყვი შეჭამე თუ არა ნაჭერი პური—გცემ, მრისხანეთ უთხრა მიხეილმა და კიდევ წაკრა მუჯლუგუნი.

— ეგრე, მიხეილ! ეგრე, აქეზებდა ცოლი. როლში შესული მიხეილი ხან აქედან წაკრავდა მუჯლუგუნს და ხან იქიდან და თან იმეორებდა: თქვი, შეჭამე თუ არა.

საბრალო ვანო საშინლათ იკლაკნებოდა ტკივილებისგან. უცბათ მიხეილმა ხელი გაუშვა ბიჭს და გაოცებული გაჩერდა.

— ყველაფერი შენი ბრალია—წყენით უთხრა მან ცოლს —ისე გიყივით შემოვარდი სახლში, რომ სულ დავთარი დამიბნიე, ასე მეგონა, ეს არის ანარქისტები დაგვეცენ მეთქი. საწყალ ბიჭს ტყუილათ ვცემეთ. სულ დამავიწყდა რომ პურის ნაჭერი პალტოს ჯიბეში ჩავიდე, შემეშინდა ბიჭმა გზაზე არ შეჭამოს მეთქი.

— უი ქა! მერე და ვერ თქვი შე ოხერო?—წყენით წარმოსთქვა კეკელამ. უცბათ ორივე გამოტრიალდა და დარცხვენილნი გავიდენ სამზარეულოდან. ვანო საშინელ ტკივილებს გრძნობდა. ის უცბათ დაეშვა სკამზე და გულამოსკვნით ქვითინი დაიწყო.

— ძაღლები! ულმერთოები! რა უნდათ ჩემგან? მთელი დღე მშიერ მწყურვალი, დუქნის კარებზე ვდგევარ, სიცივისაგან ვკანკალებ, სალამოზე მოვდივარ სახლში და აქაც არ მასვენებენ. ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება!..ჩემთვის არც ძილია და არც მოსვენება. რათ მექცევიან მე ასე? რატომ თავის შვილებს არ სცემენ და არ უჯავრდებიან? გუშინ მისმა შვილმა კოტემ უშველებელი ლამპა გასტეხა და არც კი უცემიათ. მე რომ გამეტეხა ხომ ჩამომახრჩობდენ ლამპის ჩამოსაკიდ ჯაჭვზე? მე სხვისი შვილი ვარ და ამიტომ მექცევიან ასე. ეს და სხვა ამგვარი კითხვები ბუზებივით ირეოდა ვანოს თავში. ის წამოდგა, მივიდა კუთხეში, მონახა თავისი ჭუჭყიანი, დახეული საბანი გაეხვია შიგ და კატის კნუტივით მოიკუნტა იატაკზე. თავი საშინლათ უხურდა და ათას გვარი ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა.

კეკელა და მიხეილი მოუსხდენ სუფრას სასადილო ოთახში და, თითქო ერთმანეთის სცხვენიათო, ხმას არ იღებდენ. მიხეილი იდაყვზე დაყრდნობილი ნელა შეექცეოდა ჩაის. კეკელა გულ-მოდგინეთ ჭურჭელს რეცხდა. უცბათ გაიღო კარები და ოთახში სიცილ-კისკისით შემოცქრიალდენ მიხეილის თხუთმეტი წლის ქალი ლიზა და თორმეტი წლის კოტე. ორივე სიხარულით ყელზე მოეხვია ჯერ მამას და შემდეგ დედას და ჩაკოცნეს.

— უჰ! რა სურათები ვნახეთ დედა ,,პროჟექტორში'', ისეთი სასაცილო სურათები იყო, რომ სიცილისაგან მუცელი მეტკინა.— სხაპა-სხუპით დაიწყო ლიზამ.

— რა კარგია! რა კარგი, დედა! ხვალ კიდევ წავალთ,—დაიწყო კოტემ.—მართლა დედა! ბიჭმა გზრიალა გამიკეთა?—უცბათ შეეკითხა ის დედას. წავიდე ვკითხო!

— დაანებე შვილო თავი, იმ მურტლიანს, იმდენი ვცემეთ ეხლა, რომ გზრიალა კი არა თავიც დაავიწყდა მგონია.

— რატომ სცემეთ, დედა?—შეეკითხა კოტე.

— რატომ შვილო და ჭკუას ვასწავლით.—ტკბილათ უპასუხა დედამ.

— მეც მინდა დედი ჭკვიანი ვიყო და მე რატომ არა მცემთ?—

— შენ სუსტი, სათუთათ გაზდილი ხარ, შვილო, შენ ისეც ჭკვიანი იქნები, ცემა ვანუას და მისთანებს უნდა, ის ისე გაზდილია, რომ ყველაფერს აიტანს, მაგისთანებს ცემით ასწავლიან ჭკუას.

კოტე დედის სიტყვებმა უცბათ ჩააფიქრა. ის ვერ დაკმაყოფილდა ამ პასუხით. ის უცბათ მოტრიალდა და გაიქცა სამზარეულოსაკენ.

საბრალო ვანო ღრმა ფიქრებში იყო გართული, რომ უცბათ კოტემ ფეხი წამოკრა და დაუყვირა.

— ბიჭო ბზრიალა გამიკეთე?

ვანო შეკრთა. გამოყო თავი ჭუჭყიან საბნიდან და რა დაინახა მის წინ კოტე იდგა, თავისი პაწაწა გამხმარი ხელები გამოაძვრინა საბნიდან, გააკეთა მუშტი და მუქარის ხმით დაუყვირა.

— ძაღლო! მომშორდი! მე შენ გიჩვენებ ბზრიალას.

კოტე ასეთ პასუხს სრულიად არ მოელოდა; ის უცბათ გამოტრიალდა და გაიქცა დედასთან.

— დედა! რა მითხრა ბიჭმა: ძაღლოო! მუშტიც მომიღირა. წამოდი დედა ვცემოთ.

— დაანებე, შვილო, თავი იმ მურტლიანს, ეყოფა რაც ვცემეთ.

— კეკე! მართლა ადამიანის შვილია, არ მოკვდეს, წადი, ერთი სტაქანი ჩაი გაუკეთე. ხომ იცი დუქანში მეტი არავინა მყავს, ყველაფერს მას ვაკეთებინებ და რომ მოკვდეს არც ჩვენთვის იქნება კარგი.

კეკელა წამოდგა, დაასხა ჩაი და წავიდა სამზარეულოსკენ. ვანო ისევ ისე იყო მოკუნტული და არ ეძინა.

— ბიჭო! ადე ჩაი დალიე და დაეგდე, მიმართა კეკელამ.

ვანომ ხმა არ გასცა.

— არ გესმის, ბიჭო?

— არ მინდა, შენ თვითონ დალიე!

— შენ გიბრძანებენ დალიეო და უნდა დალიო. აი აქ სტოლზე დგას, დალიე და დაეგდე. დილით ადრე აე-

თრიე, ნახშირი არა გვაქვს. უთხრა კეკელამ და გავიდა სამზარეულოდან.

საბრალო ვანო ჩაძვრა ისევ თავის საბანში და ისევ ფიქრებმა წაიღო. მას მოაგონდა თავის სოფელი, თავის სახლი, დედ-მამა და თავისი პატარა ძმები, მოაგონდა ტოლ-ამხანაგები. ის თავის სახლში ნებივრათ ცხოვრობდა, მას არც არავინ სცემდა და კიდეც ეალერსებოდენ. მთელი დღეები მთებს, მინდვრებს და ყვავილებს ეალერსებოდა ვანო. როცა ის საღამოზე მოირბენდა სახლში დაღლილ-დაქანცული, გაჯავრების მაგიერ დედა ჩაიკრავ და ძუძუებში და ტკბილათ მიეალერსებოდა. მართალია ვანოს შიმშილ-სიცივე ბევრი გამოუცდია, მაგრამ დედის ტკბილ ალერსთან და თავისუფლებასთან ყველაფერი ავიწყდებოდა. მოაგონდა ვანოს, როგორ წამოხტებოდა დილა-ადრიან და გაიქცეოდა თავის ტოლ-ამხანაგებთან იქვე ახლო მოჩხრიალე მდინარეში სათევზაოთ. მოაგონდა, როგორ დაუძახა ერთ დღეს მამამ და უთხრა: ,,შვილო ვანო, შენს ყურებას და ალერსს არაფერი არ მირჩევნია, მარა სულ ასე ხომ არ იქნები, გაიზდები და რამე საბოლოოზე უნდა იფიქრო, ხომ ხედავ მე არაფერი სიკეთე გამაჩნია, წავიდეთ, შვილო ქალაქში, ვინმე ღვთისნიერ კაცს ჩავაბარებ შენ თავს და ბოლოს კაცი გამოხვალ''. ვანოს ხმა არ ამოუღია მამის სიტყვებზე. მეორე დღეს მამა მოემზადა ქალაქში წასასვლელათ; დედამ ტირილით ჩაიკრა გულში ვანო და დიდხანს კოცნიდა. ჩამოიყვანა ქალაქში მამამ და ერთ ნაცნობის წყალობით მიხეილ გვიზიანიძეს მიაბარა. მოაგონდა ვანოს როცა ის გვიზიანიძესთან მიიყვანა მამამ, როგორ ეფიცებოდა გვიზიანიძე, როგორც შვილს ისე შევინახავო. ეხლა კი როგორ ექცევა? მოაგონდა ვანოს ყველა ეს და ცრემლები ველარ შეიმაგრა. მისი პაწაწა თავი ათასგვარმა ფიქრებმა შეიპყრო. რატომ მექცევა ასე საზიზღარი ხაზეინი? რათ მცემენ? რა დავაშავე? დღე და ღამ ვმუშაობ, ყველაფერს ვითმენ: სიცივეს, შიმშილს, ლანძღვა-გინებას და კიდევ მცემენ. რატომ? ფიქრობდა ვანო,—რატომ თავის შვილებს არ ექცევა ასე ხაზეინი?—იმიტომ რომ ისინი მისი შვილებია. მე სხვისი შვილი ვარ. ხაზეინს ნება აქვს, რაც უნდა იმას მიზამს. მერე ეს სამართლიანობაა? მე პატარა ვარ, ხაზეინი დიდია და მომერევა, მე არაფერი არ შემიძლია... ნეტავი სად არის ის სოციალია... სოციალია ხაზეინებზე უფრო ღონიერია... ხაზეინს ძალიან ეშინია სოციალიის... თუ კიდევ მოინდომა ცემა, დავუძახებ სოციალიას და ვნახავ მაშინ რა ბიჭია ხაზეინი. დამაცადეთ, მე თქვენ გაჩვენებთ... სოციალია... ამ ფიქრებში ჩაეძინა საბრალო ვანოს.

იქნებოდა დილის ექვსი საათი, რომ გვიზიანიძე ჩვეულებრივათ წამოდგა ლოგინიდან, გადაიცვა ხალათი, ჩაიცვა ფლოსტები და გაემართა სამზარეულოსკენ. ვანოს ტკბილათ ეძინა.

— ადე ბიჭო!—დასჭყივლა გვიზიანიძემ და ფეხი წაკრა.—ადე ჩქარა, ნახშირი მოიტანე სამოვრისთვის, ჩქარა თორემ დუქანში დაგვიგვიანდება. ვანომ თვალები დააჭყიტა. ის ჯერ კარგათ ვერ გამორკვეულიყო, რომ გვიზიანიძემ კიდევ წაკრა ფეხი. ვანოს ხმა არ ამოუღია ისე წამოდგა, მივიდა კუთხეში, აიღო კალათი და წავიდა. გვიზიანიძე გავიდა აივანზე, ერთი ლაზათიანათ გაიზმორა და დაეწაფა დილის ცივ სუნნელოვან ჰაერს. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა ვანო. გვიზიანიძე საჩქაროთ შეევიდა სამზარეულოში და ნახშირს სინჯვა დაუწყო; დახედა თუ არა კალათს, ისეთი დაიღრიალა, რომ საბრალო ვანოს გული კინაღამ გაუსქდა.

— არა, შე ლაწირაკო, ხომ არ გინდა შენ რომ სულ გამაკოტრო; არა, ერთი მითხარი ნახშირია ეს? რასა გავს ეს, ასე დაფხვნილი ნახშირი გაგონილა? მე შენ გიჩვენებ როგორი ნახშირი უნდა იყიდო. შენ ჭკუა თუ არ გასწავლე მა რის ხაზეინი ვარ. გაბრაზებით დაუყვირა გვიზიანიძემ, სწვდა კისერში და უმოწყალოდ ცემა დაუწყო.

— ხაზეინო, ნუ მცემ!

— ნუ მცემო! გცემ და მეტსაც გიზამ, ეს ერთი, ეს ორი...

— ხაზეინო! ნუ მცემ, არ გაქ ნება—დაიღრიალა ვანომ და მოინდომა ხელიდან გასხლტომა, მაგრამ გვიზიანიძეს მაგრათ ეჭირა.

— რაო? რაო?!! მე ნება არ მაქვს გცემო? მე შენ გიჩვენებ მაქვს თუ არა ნება. დაიღრიალა გვიზიანიძემ და რაც ძალი და ღონე ქონდა სცემდა. ვანო საშინლად იკლაკნებოდა ტკივილისაგან. მან უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიფა, დაუსხლტა ხელიდან გვიზიანიძეს, გაიქცა ერთი კუთხისკენ და გაჩერდა. ვანოს, ეტყობოდა, რაღაცა გადაეწყვიტა, მან წელებზე ხელი შემოიდგა, თავი მაღლა ასწია, თითქოს ეს არის ეხლა უნდა გვიზიანიძის გაქრობაო და, როცა მისკენ განრისხებული გვიზიანიძე გაექანა, რაც ძალი და ღონე ქონდა დაუყვირა.

— გაჩერდი! მოვიდა სოციალია...

გვიზიანიძე შეკრთა, თითქო ის არ მოელოდა ამას; რამდენიმე წუთი და ის გააფთრებული ეცა ვანოს და დაუწყო უმოწყალოთ ცემა.

— აა? შენ სოციალია ხარ?! ესეც შენი სოციალია,—ყვიროდა გვიზიანიძე და რაც ძალი და ღონე ქონდა სცემდა ვანოს.—წადი დაუძახე შენ სოციალიას! მოგკლავ, დაგახრჩობ, სოციალიას შენთვის არ სცალია, შენ ჩემ ხელში ხარ. იმიტომ ხარ ასე დიდგულათ, რომ სოციალიის იმედი გაქვს? არა, ტყუილია. ჭკუა უნდა გასწავლო.

ძლივს-ძლივობით დაუსხლტა ხელიდან ვანო გააფთრებულ გვიზიანიძეს და ღრიალით გაექანა ქუჩისაკენ, თან თავის პატარა მუშტს აჩვენებდა გვიზიანიძეს და ემუქრებოდა.

გვიზიანიძეს მეტი მღელვარებისაგან ჩაიც არ დაულევია, ისე ჩაიცვა ტანზე და წავიდა დუქანში. მთელი დღე რაღაც უსიამოვნოთ გაატარა დუქანში. თითქო განგებ, ვაჭრობაც ძალიან ნაკლებათ ქონდა ამ დღეს. თან რაღაც უნებლიეთ შიშს შეეპყრო გვიზიანიძე, ვანოს დაკარგვა და სოციალიის ხსენება შიშის ზარს გვრიდა მას. ის რაღაც ფიქრებს შეეპყრო. იქნებოდა საღამოს ოთხი საათი, რომ მასთან შევიდა ორი ახალგაზდა. გვიზიანიძე წამოდგა, ასე ეგონა სავაჭროთ შემოვიდენო და დაუწყო ლოდინი.

— თქვენა ხართ გვიზიანიძე?—შეეკითხა ერთი.

— დიახ, მე გახლავარ, რა გნებავთ?—ზრდილობიანათ უპასუხა გვაზიანიძემ.

— ჩვენა ვართ პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენლები და უნდა გაცნობოთ, რომ თქვენ გეცხადებათ ბოიკოტი, რადგან ასე საზიზღრათ ექცევით თქვენ მოსამსახურე ბავშვს, ბოიკოტი ძალაში იქნება მანამდე, სანამ არ დააკმაყოფილებთ ბავშვს.

— ბოიკოტი!!—მწარეთ ამოიხვნეშა გვიზიანიძემ და მკვდარივით დაეშვა სკამზე.—ღმერთო ჩემო, ხომ დავიღუპე, ისედაც არაფერი ვაჭრობა მაქ და ეხლა ხომ სულ გავკოტრდი. მითხარით, ბატონებო, რა ვქნა, სად ვიპოვნო ის ბავშვი? ხვეწნით მიმართა გვიზიანიძემ მოსულებს, მაგრამ ისინი უკვე გავიდენ დუქნიდან და გზას გაუდგენ.

გვიზიანიძე მკვდარს დაემსგავსა. მან აღარ იცოდა, რა ექნა. ბოიკოტის გამოცხადება მისთვის სიკვდილი იყო. მთელი მისი გონება ეხლა იმ აზრს შეეპყრო, როგორ ენახა ვანო; ის მზათ იყო დაეჩოქნა მის წინ, ოღონდ კი ბოიკოტი ძალაში არ შესულიყო. ამ ფიქრებში იყო გვიზიანიძე, როცა მან თავის დუქნის წინ თვალი მოკრა ვანოს. ის გიჟივით გამოვარდა გარეთ და დაუწყო მუდარა:

— ვანო! ვანოჯან! მოდი გენაცვა! მოდი შვილო! ისე შეგინახო, როგორც შვილი! თავის დღეში აღარ გცემ, ცივ ნიავსაც არ მოგაკარებ.

ვანოს თავის პაწაწა ხელები ჯიბეში ჩაეწყო და თითქო გმირიაო, ისე იდგა გამოჭიმული.....

პარიძე.

მუშათა მოძრაობა და პროფესიონალური კავშირები.

თბილისი.

ორიოდე სიტყვა ახალ და ძველ კავშირებზე.

ამ მიმდინარე 1906 წელს ხშირი იყო თბილისში გაფიცვები. თითქმის ყველა ისინი გაფიცულ მუშების გამარჯვებით გათავდა. გაიმარჯვეს ელექტრონის ტრამვაის მოსამსახურე-მუშებმა,—არაყის ქარხნების მუშებმა,—მეთუთუნე-მეპაპიროსეებმა,—აბანოებში მოსამსახურეებმა და მექისეებმა,—„სარდაფებში“ და ბუფეტ-რესტორანებში მომუშავეებმა,—ლუდის ქარხნების მუშებმა და სხვ...

თითქმის ყველა ამათ მოიგეს 9—8 საათის სამუშაო დღე, ხელფასი ასწიეს, ბიბლიოთეკა-სამკითხველო გამართეს „ხაზეინის“ ხარჯზე. მოიგეს აგრეთვე ექიმობა და სხვაფრივ ბევრგვარად შრომის პირობები გაიუმჯობესეს.

პოლიტიკურ რევოლიუციის ქარცეცხლში ეკონომიურმა ბრძოლამ თავისი ნაყოფი მოიტანა. მარა ყველაზე უფრო აქ ისაა თვალსაჩინო და საყურადღებო, რომ მთელ ქალაქში სხვადასხვა ალაგას დაქსაქსული პროლეტარები ერთი წარმოებისა დაუახლოვდენ ერთმანერთს და თვით გაფიცვების დროიდან შეუდგენ მუდმივ პროფესიონალურ ორგანიზაციის მოწყობას.

ამგვარად გაჩდენ სამიოდე ათეული პროფესიონალური კავშირები.—ზოგი მათგანი, მართლაც, დღემდეც დაფორმებული იყო, ესე იგი, ქონდათ და აქვთ თავისი წესდება, კასა და ყავთ აღმასრულებელი კომისია ან ბიურო; ზოგი-კი დღემდე მხოლოდ სახელს ატარებდა კავშირისას.—სამაგიეროთ, მას აქეთ, რაც რამდენიმე კავშირის წარმომადგენლებმა შეადგინეს და მიიღეს თბილისის ყველა კავშირების ცენტრალური საბჭოს წესდება და ამოირჩიეს ორგანიზაციული კომისია, მის ცხოვრებაში გასატარებლათ,—სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ ახალ კავშირების მოწყობა-მოწესრიგება და ძველების გამაგრება.

ლუდის მხარშველ ქარხნების მუშათა კავშირი.

ერთი ამგვარი ახალი გავშირია ლუდის ქარხნების მუშათა კავშირი, რომლის წესდება აქვე იბეჭდება.—აი, ორიოდე ცნობა ამ ახალ კავშირის შესახებ.

ლუდის ქარხანა თბილისში სულ ოთხია: ვეტცელის, ოტტო მადერის, ლუიზა მადერის და დიტრიხის.

მუდმივი მუშათა რიცხვი—ვეტცელთან არის—60 – 65-მდე, დანარჩენთ-კი 25—35-მდე თითოს. ასე რომ სულ ამ წარმოების მუშებია თბილისში 160—170-მდე... ზაფხულში-კი მუშათა რიცხვი უფრო მეტია.

ამ დღეებში ყველა ამ ქარხნის მუშებმა ამოირჩიეს წარმომადგენლები – სულ 13 კაცი და იმათ მიანდვეს ნამდვილი კავშირის მოწყობა. ამაოთ მოიწვიეს ერთი „პარტიის“ ამხანაგი და შეადგინეს კიდეც წესდება, რომელიც ვეტცელისა, დიტრიხასა და ლუიზა მადერის მუშებმა ერთხმად მიიღეს... დარჩა ოტტო მადერის მუშები, რომელნიც, ეჭვი არაა, აგრეთვე მიიღებენ, როცა უფრო შეგნებული ამხანაგები გააგებინებენ მათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირს მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ლუდის ქარხნების მუშების წარმომადგენლებმა აირჩიეს პროფესიანალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოში ერთი წარმომადგენელი.

სხვა უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ კავშირზე—და სხვებზედაც—სხვა დროისთვის.

თბილისის ლუდის-მხარშველ ქარხნის მუშათა პროფესიონალური კავშირის

წესდება:

(პროექტი*)

I. კავშირის მიზანი.

§ 1. კავშირის მიზანია:

ა) თავის წევრთა პროფესიონალური, უფლებრივი და კლასიური ინტერესების დაცვა,

ბ) მათი ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესების ხელის შეწყობა,

გ) გონებრივათ და ზნეობით ამაღლება, სოლიდარობისა და კლასიური თვითშეგნების განვითარება,

დ) მატერიალური დახმარება წევრთა და მათი ოჯახებისათვის.

ე) ლუდის და სხვა მის მსგავს ქარხნებში ყველა მომუშავეთა შეერთება ერთ კავშირში, განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა, ქვეშევრდომობისა, ასაკობისა, სქესისა და პარტიულ რწმენისა.

II. კავშირის მოქმედება.

§ 2. ყველა ამ მიზნის მისაღწევათ პირველი (დამფუძნებელი) კრება კავშირისა ღებულობს და ამტკიცებს

*) ეს პროექტი მიღებულია თბილისის ყველა ლუდის ქარხნების 152 მუშათა წარმომადგენლებისაგან (13-დან კრებაზე იყო 12 წარმომადგენელი).

კავშირის წესდებას, გამოიმუშავებს და ადგენს კავშირის მოქმედება-მოღვაწეობის გეგმას, პროგრამას და არჩეულ დაწესებულებათა და პირებს აძლევს ინსტრუქციას;

§ 3. თავის წევრთა პროფესიონალური და კლასიური ინტერესების დასაცავათ კავშირი ცდილობს: ა) შემოიღოს რვა საათის სამუშაო დღე, ან თუ ის უკვე შემოღებულია, დაიცვას იგი, ბ) ასწიოს ხელფასი ანუ ჯამაგირი, გ) მოსპოს ზედმეტი მუშაობა (сверхурочная работа), დ) აღკრძალოს ბავშვების მუშაობა თექვსმეტ წლამდე, ე) განსაზღვროს ქალების მუშაობა და ვ) საზოგადოთ გააუმჯობესოს შრომის სხვა პირობები;

§ 4. თავის წევრთა ყოველგვარ გაჭირვებისა და უმუშევრობის დროს დასახმარებლათ, კავშირი თავის კასასთან აარსებს სპეციალურ დახმარების ფონდს, რომელიც კავშირის მთელი შემოსავლის 15%-სა და სხვა ამგვარ კერძო (სპეციალურ) შემოწირულებისაგან შესდგება;

§ 5. კლასიური სოლიდარობისა და თვითშეგნების გასავითარებლათ კავშირი სხვა პროლეტარულ კავშირებთან და პარტიასთან შეთანხმებით ატარებს და ახორციელებს პირველ მაისის დღესასწაულობას;

§ 6. თავის წევრთა ზნეობრივ და გონებრივ გასავითარებლათ, კავშირი აარსებს: ა) სამკითხველო-ბიბლიოთეკებს, ბ) საღამოს და კვირის შკოლებს, გ) ამგვარსავე კურსებს, უფრო მომზადებულთათვის, დ) კლუბებს, ე) მართავს თეატრს, კერძო და საჯარო ლექციებს, სახალხო სახლს და სხვა სასარგებლო გასართობებს;

§ 7. კავშირი უერთდება ქალაქის სხვა პროლეტარულ კავშირებს საერთო საბჭოში წარმომადგენლების გზავნით,—აგრეთვე თავის პროფესიის სხვა ქალაქების კავშირებს და ემორჩილება სიეზდების დადგენილებათ.

III. კავშირის საშუალებანი.

§ 8. კავშირის საშუალებანია: ა) საწევრო შემოსატანი, ბ) ყოველთვიური შემოსატანი, გ) შემოწირულებანი, დ) სხვადასხვა საქმისაგან შემოსული ფული და ე) ბანკში შენახული, ან რაიმე საერთო საქმეში დატრიალებული თანხების მოგება.

IV. საშუალებათა დანიშნულება.

§ 9. კავშირის კასის ყოველგვარ შემოსავლის 60% მიდის გაფიტვის „ხელშეუხებელ“) ფონდში, 10%—ქ. თბილისის პროფეს. კავშირების ცენტრალურ საბჭოში, 15% —„გაჭირვებულ და უმუშევარ წევრთა დამხმარე ფონდში“ და 15%—კავშირის მართვა-გამგეობის ყოველგვარ ხარჯების ფონდში.

V. კავშირის შედგენილობა, უფლება და მოვალეობა მის წევრთა.

§ 10. კავშირის წევრად შეუძლია გახდეს ყველა მომუშავეს ლუდის, ან მის მსგავს ქარხანაში, თუ-კი საწევრო ფული შემოიტანა, ყოველთვიურ შემოსატანს იძლევა და კავშირის წესდებას ემორჩილება.

§ 11. არ შეუძლია იყოს კავშირის წევრად: ა) „ხაზეინს“, ბ) მის მოურავებს და ყველა იმ მოსამსახურეთ, რომელთაც ხაზეინის მოგებაში წილი უძევთ პროცენტობით, თუ სხვაგვარათ*) და გ) თვით მუშასაც, თუ-კი ის ზნეობრივათ ჩირქ-მოცხებულია და კავშირს მისი წევრობა სახელს უტეხს. (რასაკვირველია, სანამდის გასწორდებოდეს).

§ 12. კავშირში შესასვლელათ საჭიროა: ა) ჩაწერის დროს ერთდროული შესატანი საწევრო—ერთი მანეთი (1 მ.) და ბ) ყოველთვიური—ჯამაგირის (ქირის) 2½%.

§ 13. ყველა წევრს თანასწორი უფლება და მოვალეობა აქვს: არჩევნების დროს—ამრჩეველის და ასარჩევის,—თითოს—თითო ხმა, რომლის გადაცემა სხვაზე არ შეიძლება.

§ 14. მიღება და დათხოვნა ახალ წევრებისა გამგეობის საქმეა, რაზედაც ის ყველა წევრთა, ან მათი წარმომადგენლების საზოგადო კრებას მოხსენებას წარუდგენს *).

§ 15. წევრი, რომელსაც ორი თვის განმავლობაში თვიური შემოსატანი არ მოუცია, კავშირიდან ირიცხება,—შემდეგ, როცა შემოიტანს გასულ თვეებისას, ისევ უნდა მიღებულ იქმნეს.

§ 16. გამგეობას აქვს უფლება დაითხოვოს უზნეო და კავშირის ინტერესების მავნებელი წევრნი, რომელთაც შეუძლიანთ განასაჩივრონ, თუ კი უკმაყოფილო დარჩებიან, გამგეობის დადგენილება საზოგადო კრებაზე.

§ 17. გასულ და გამორიცხულ წევრთ მათ-მიერ შემოტანილი ფულები არ უბრუნდებათ.

VI. კავშირის გამგეობა.

§ 18. კავშირს განაგებს კავშირის დეპუტატთა საბჭო, რომლის წევრნი პირდაპირ უნდა იქმნენ არჩეული წევრთა საზოგადო კრებაზე, ექვსი თვით, პროპორციონალურად—ათი კაცისაგან—ერთი.

შენიშვნა 1. თუ პირდაპირ არჩევნები გასაჭირია,—შეიძლება მოხდეს არაპირდაპირი—ორსართულიანი.

შენიშვნა 2. ამრჩეველთ ყოველთვის შეუძლიათ უკან გაიწვიონ თავიანთი წარმომადგენელი და ახალი აირჩიონ, თუ უმრავლესი მათგანი ან თვითონ საბჭო უმრავლესობის ხმით ამას თხოულობს.

შენიშვნა 3. თითოეულ ქარხნის ადგილობრივ საქმეებს განაგებენ იქაური ათისთავები, რომელნიც საბჭოში შედიან და იმა ქარხნის კავშირის სექციას წარმოადგენენ.

§ 19. კავშირის ყოველდღიურ საქმეებისა და საბჭოს დადგენილებათა აღსასრულებლათ—საბჭო ირჩევს აღმასრულებელ კომისიას, ან ბიუროს ხუთი კაცისაგან, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეა, ერთი კასირი, ერთი ორგანიზატორი და ორიც თავმჯდომარისა და კასირის თანაშემწენი.

შენიშვნა. სხვადასხვა ფუნქციებისა და საქმეების წასაძღოლათ საბჭო თავიანთ შორის ირჩევს სხვადასხვა კომისიებს, როგორც, მაგალითად, ა) უმუშევართა დამხმარებელ კომისიას, ბ) ფინანსიურ კომისიას, გ) პროფესიონალურ კომისიას და სხვათა, საჭიროებისა და დროების მიხედვით.

§ 20. საბჭო, აღმასრულებელ კომისიის მოწვევით,

*) აქ კონდუქტორები არ არის სახეში მიღებული, ე. ი. იმათ შეუძლიათ იყონ კავშირის წევრი, თუ-კი წესდებას ემორჩილებიან.

*) ახალ წევრთ ჩასწერს და მიიღებს გამგეობა ორი წევრის რეკომენდაციით და თავისი საკუთარი განსჯით.

ჩვეულებრივათ იკრიბება კვირაში ერთხელ; არაჩვეულებრივი კრება ხდება: ა) აღმასრულებელ კომისიის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით, ბ) საბჭოს წევრთა ერთი მესამედის წინადადებით და გ) კავშირის ერთი რაიონის განცხადებით.

შენიშვნა 1. აღმასრულებელი კომისია ყოველ დღე იკრიბება და სხვა კომისიები—საჭიროების მიხედვით.

შენიშვნა 2. ყველა კომისიები ანგარიშს აძლევენ და ემოჩილებიან საბჭოს.

§ 21. საბჭო ოფიციალური წარმომადგენელია კავშირისა სხვა კავშირებთან, პარტიასთან და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებთან დამოკიდებულებაში, თუ საერთო საბჭო არ არსებობს ქალაქში.

VII. საზოგადო წესები.

§ 22. საბჭოს კრება კანონიერია, თუ მას წევრთა $^2/_3$ დაესწრო.

§ 23. ყველა კითხვები საბჭოში და კავშირის სხვა დაწესებულებებში წყდება ხმის უბრალო უმეტესობით.

§ 24. კავშირის დაშლა-დახურვას და ყოველივე მის საქმის ლიკვიდაციას სწყვეტს საბჭოს დადგენილებით საზოგადო კრება, რომელზედაც დაესწრენ კავშირის წევრთა არა ნაკლები $^2/_3$-ისა.

შენიშვნა. ეგევე კრება ირჩევს კომისიას ლიკვიდაციოთ, ან საქმის გამოსაკეთებლათ, ე. ი. კავშირის ახალი წესების პროექტის შესადგენათ.

—

მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი. ვინ იფიქრებდა, რომ მუშათა კლასის ის ნაწილი, რომლის სახელწოდებაც კი ადამიანის დამამცირებლათ მიიჩნია დღევანდელ საზოგადოებას, ისეთ მჭიდრო კავშირს შეკრავდა, როგორც აქვთ დღეს მოსამსახურეებს. ბევრს დაუჯერებლათ მიაჩნია ეს ამბავი. მარა დაუჯერებელი აქ არაფერია. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. როდესაც შრომის პირობები ადამიანისათვის აუტანელია, ადამიანურ სახეს უკარგავს, მან ან გადაშენების გზას უნდა დაადგეს, ან თავი უნდა დიხსნას და აღსდგეს ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მოსამსახურეებმაც ეს უკანასკნელი გზა აირჩიეს.

მოსამსახურეთა მოძრაობა იწყება 1903 წ. გაზაფხულიდან. ამ დროს მოხდა პირველი გაფიცვა, რომელიც სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამის შემდეგ მოსამსახურეებში იწყება მუშაობა, ეწყობა წრეები, მტკიცდება დამოკიდებულება სოც.-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციასთან.

1905 წელს, სააღდგომოთ, მოსამსახურეები მეორეთ გაიფიცენ. ეს გაფიცვაც მოსამსახურეების გამარჯვებით გათავდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ მხოლოდ რესტორანებში, სასტუმროებში, ნომრებში, ბაღებში და ოჯახებში მომუშავე მოსამსახურეები. ყველასგან დაბეჩავებული სარდაფების, სირაჯების, ტრაქტირების და სამიკიტნოების მოსამსახურეები ჯერ კიდევ ვერ ბედავდენ ხმის ამოღებას, ჯერ კიდევ არ იცოდენ, თუ როგორ დაეწყოთ საქმე. მარა, ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ისინიც გაამხნევა, იმათაც გამოიღვიძეს. ნეტარხსენებულ „თავისუფლების დღეებში“ გაიმართა მთელი თბილისის მოსამსახურეთა საერთო კრება. რესტორანებში, სასტუმროებში, ნომრებში, ბაღებში და ოჯახებში მომუშავე მოსამსახურეებს სარდაფების, სირაჯების, ტრაქტირების და სამიკიტნოების მოსამსახურეებიც შემოუერთდენ. ამნაირათ არსდება თბილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი. საერთო კრებამ აირჩია საბჭო, შეიმუშავეს წესდება და საბჭოც შეუდგა მოქმედებას: ხსნის კლუბს, მართავს კრებებს, აგროვებს საწევრო ფულს და სხვა. მარა, აი, ამ დროს დგება დეკემბრის შავი დღეები. რეაქცია იმარჯვებს, კავშირები იშლება და მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს უმეტესი ნაწილიც აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდენ. ბრძოლის ველზე საბჭოს მხოლოდ რამდენიმე წევრიღა რჩება. ამათ განსაკუთრებულ საზოგადოებრივ პირობების გამო საბჭოს კრება კანონიერათ აღიარეს, ერთხელ დაწყებულ საერთო საქმეს ხელი არ შეაშვეს. და მოქმედება განაახლეს. გადარჩენილი საბჭო მუყაითად და ენერგიულად შეუდგა მოქმედებას.

მაისის უკანასკნელ დღეებში საბჭოს ლიმონათის ქარხნების მუშებმა მიმართეს, რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ მათ კავშირის ფაარსებაში. შემდეგ საბჭომ შეიმუშავა რესტორანების, სასტუმროების, ნომრების და ბაღების მოსამსახურეთა მოთხოვნები და ის იყო უნდა წარედგინა ხაზეინებისათვის და თუ არ დააკმაყოფილებდენ, უნდა გაფიცულიყვენ, რომ პოლიტიკური პირობები, ცხრა ივლისის უმაღლეს უქაზის გამო, მეტად შეიცვალა, გაფიცვა მოუხერხებელი შეიქნა. ამისათვის საბჭო მხოლოდ ფურცლების საშუალებით აცნობს ამხანაგებს, რა უნდა მოითხოვონ მათ და მოუწოდებს ემზადონ მომავალ გაფიცვებისათვის.

ლიმონათის ქარხნის მუშები მოსამსახურეთა კავშირის საბჭოს ხელმძღვანელობით კავშირს აარსებენ, მოთხოვნებს იმუშავებენ, იფიცებიან და კიდევაც იმარჯვებენ. ამ დროს სარდაფების, სირაჯების, ტრაქტირების და სამიკიტნოების მოსამსახურეები მოითხოვენ საბჭოსაგან მოთხოვნების შემუშავებას. საბჭო აკმაყოფილებს მათ, უშვებს ფურცლებს და სხვა. ხაზეინები არ აკმაყოფილებენ და საბჭოც გაფიცვას აცხადებს. შვიდი დღის გაფიცვა მოსამსახურეთა სრული გამარჯვებით გათავდა. მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საბჭოს ხელმძღვანელობით თორნის პურის მცხობლები აარსებენ კავშირს, იმუშავებენ მოთხოვნებს, იფიცებიან და კიდევაც იმარჯვებენ. საბჭოს ხელმძღვანელობით არსდება აგრეთვე შეშის საწყობებში მომუშავეთა კავშირი, სირაჯხანაში გადამტვირთ-გადმომტვირთველ მუშათა კავშირი. ბოლოს მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის საბჭომ გადასწყვიტა მიმართოს ყველა კავშირებს—შედგეს კავშირთა ერთი ცენტრალური დაწესებულება, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა კავშირებს. საბჭომ ეცადა ოთხი მარტის კანონის თანახმათ მიეცა კავშირისთვას ლეგალური მსვლელობა. ამისათვის მან ორჯერ კიდევაც მისცა გუბერნატორს წესდება დასამტკიცებლად, მარა ორივე ხელ უარი მიიღო. ამის შემდეგ საბჭო აწყობს ძირითად ორგანიზაციებს, „იაჩეიკებს“, ყოფს თბილისს რაიონებად, რაიონები ირჩევენ საბჭოს, რომელიც ხელმძღვანელობს მთელი კავშირის საქმეებს.

—

თფილისის „იუველირების“ მოთხოვნები:

1) რვა საათის სამუშაო დღე.

2) ჯამაგირების მომატება:

ვინც ღებულობს	25 მანეთს	40 %
	30 „	30 %
	40 „	20 %
	50 „	15 %
	60 „	10 %

3) ნაჭრობით, ზედმეტ და ღიური მუშაობის გაუქმება.

4) ავადმყოფობის დროს სამი თვის ჯამაგირი ადგილის შენახვით.

5) წელიწადში ერთი თვით დასვენება.

6) ხელოსნების და შეგირდების მიღება კავშირის საქმე იყოს.

7) გაფაცვის დროს სრული ჯამაგირი.

8) დათხოვნის დროს ხაზეინი სამი თვის ჯამაგირს აძლევდეს ხელოსანს.

9) ყველა უქმეებში დასვენება.

10) უქმეების წინა დღით ერთი საათით ადრე გათავება მუშაობისა.

11) ზრდილობიანი მოპყრობა.

—

შეგირდების მოთხოვნები:

1) შეგირდების მიღება 4 წლით.

2) შეგირდების მიღება არა ნაკლები 14 წლისა.

3) ნება არ ქონდეს ხაზეინს ფული გადაახდევინოს შეგირდს სწავლებაში.

4) ნება არ ქონდეს ხაზეინს შინ იმსახუროს შეგირდი.

5) მიეცეს შეგირდს თვიურათ სამი მანეთი, ხაზეინის ხარჯზე სადილი, და ორ კვირაში 30 კ. აბანოსთვის.

6) ავათმყოფობის დროს ხაზეინის ხარჯზე ექიმობა.

7) სამუშაო დღის ექვსი საათით განსაზღვრა.

—

მექუდეების კავშირი. კავშირი დაარსდა ხუთი თვის წინათ. წევრების რიცხვი 70 აღემატება, კასა—100 მ. ხაზეინებსა და მუშებ შორის დამოკიდებულება მეტათ გამწვავებულია. ორი თვის წინათ მოხდა გაფიცვა; რომელიც მუშების გამარჯვებით გათავდა. წევრთა უმრავლესობა ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას თანაუგრძნობს. არიან ს.-რევოლიუციონერებიც, მაგრამ ძალიან ცოტა.

—

ელექტრო-მექანიკების კავშირი. კავშირი დაარსდა დაახლოვებით 1905 წელს დეკემბერში. წევრთა რიცხვი 75-ზე მეტი იქნება, კასა—70 მ. მუშები დიდის თანაგრძნობით შეხვდენ კავშირის დაარსებას. კავშირის დაარსებამ ჩქარა დაანახა მათ თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მუშებისთვის შეერთებულ ბრძოლას. მედგარი ბრძოლით მათ ჩქარა მოიპოვეს 8 საათის სამუშაო დღე.

—

დურგლების გაფიცვა. 16 ნოემბერს გაიფიცენ თფილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ახალ შენობაზე მომუშავე დურგლები და თავიანთი მოთხოვნები წარუდგინეს შენობის საამშენებლო კომისიის თავმჯდომარეს ბ. ნ. ცხვედაძეს. მოთხოვნა შეეხება მხოლოთ ხელფასის მომატებას. დღემდე ღებულობდენ 1 მან. 10 კაპ. დაწყებული 2 მან. 50 კაპეიკამდე. მოითხოვენ მიეცეთ დღიურათ 1 მან. 40 კაპ. დაწყებული სამ მანეთამდე. ბ. ნ. ცხვედაძე და კომისია ჯერ-ჯერობით უარს ამბობენ მუშების დაკმაყოფილებაზე და, პირიქით, სხვა და სხვა ჭორებითა და ცილისწამებით უმასპინძლდებიან, ვითომ მუშები იმის ღირსიც არ იყვენ, რასაც ღებულობენ, ვითომ ისინი (მუშები) მუშაობის მაგივრათ ლაზღანდარობდენ და დროს მუქთათ ატარებდენ. მუშებს, ასეთი ცილის წამებით აღელვებულთ, გადაწყვეტილი აქვთ განაგრძონ გაფიცვა სრულ გამარჯვებამდე, ხოლო ცილისმწამებელთ საზიზღარ შეურაცყოფისათვის პასუხი მოსთხოვონ.

—

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წესდება წინასიტყვაობით:

ამხანაგო მუშებო!

რა ესაჭიროება ყველაზე უფრო პროლეტარიატს?

— იცნობდეს თავის მტერს, იცნობდეს თავის მოყვარეს.

ვინაა მისი მტერი? ვინაა მისი მოყვარე?

— მტერია—ყველა „ხაზეინები“, ყველა ფულიანი კაცები, მემამულენი, კაპიტალისტები.

— მოყვარეა—მისი ამხანაგები, ყველა პროლეტარები, მის წითელ დროშის-ქვეშ მებრძოლნი.

კიდევ ვინაა მისი მტერი?

— მტერია—პოლიციური მთავრობა.

რა ვქნათ? რა ვაკეთოთ?

— ვებრძოლოთ ჩვენს მოსისხლე მტრებს,—ჩვენს წინააღმდეგ შეერთებულ ყველა „ბურჟუებს და მათ დამცველ მთავრობას...

— შევუერთდეთ, შეუკავშირდეთ ჩვენებს, ყველა დაქირავებულთ, ყველა პროლეტარებს.

როგორ და რისთვის ვებრძოლოთ?

— მთავრობას და მის უკანონო ბატონობას ებრძვის პროლეტარიატი პოლიტიკური პარტიის,—სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობით და ბურჟუაზიული ქვეყნიერების დანგრევით იწადდავს გზას სოციალიზმის, ესე იგი მხოლოდ შრომის სამეფოსაკენ... მაშ გაუმარჯოს პოლიტიკურ ბრძოლას, გაუმარჯოს მის ჭეშმარიტ მებაირახტრე შეგნებულ და სოციალისტურ პროლეტარიატს!

— „ხაზეინებს“, დამქირავებელთ, ებრძვის დღემუდამ დაქირავებული, მუშათა კლასი, პროფესიონალურ კავშირების ხელმძღვანელობით და მიისწრაფვის ამ გზითაც აგრეთვე სოციალიზმის სამეფოს დასამკვიდრებლათ, განსახორციელებლათ.

მაშ, გაუმარჯოს მთელ ბურჟუაზიასთან სოციალ-ეკონომიურათ მებრძოლ მუშათა კლასს!

ეს ორგვარი ორგანიზაცია პროლეტარიატისა—პოლიტიკური (პარტიული) და პროფესიონალური კავშირებათ—წარმოადგენს ორს გარეგნულათ სხვა-და-სხვა მხარეს ერთი მთელისას: მთელია მუშათა კლასი, დაქირავებულნი, პროლეტარიატი; ხოლო მისი ორი უსაჭიროესი და უპირველესი ნაწილი—პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციებია. ორივე ემსახურება ერთსა და იმავე მიზანს—მუშა ხალხის ერთობას განსათავისუფლებლათ შრომისა და მთელი

ქვეყნიერებისა, მთელი კაცობრიობის სულის-შემხუთველ კაპიტალის უღლისაგან.

მაშ, ამხანაგო მუშებო!—შეგნებულნი და მომზადებულნი ჩვენგანი, ვითარცა ჭეშმარიტი რევოლუციონერები, პოლიტიკურ პარტიაში, პროლეტარიატის სოციალისტურ პარტიაში შევიდეთ და გავაძლიეროთ ის... ხოლო დანარჩენი-უმრავლესი ნაწილი ჩვენგანი შეგნებულებთან ერთად და მათი ხელმძლვანელობით უნდა ვესწრაფოთ: ჯერ ყოველ პროფესიაში შევერთდეთ, მოვეწყოთ პროფესიონალურ კავშირებათ, შემდეგ თვით ეს კავშირები შევაერთოთ დიდ კავშირებათ, რომ უკეთ ვებრძოლოთ ჩვენს მოსისხლე მტრებს – ხაზეინებს!

ამ დიდსა და დიდებულ რევოლიუციის დროს ყოველგან რუსეთში მუშა ხალხი მიისწრაფვის პროფესიონალურ კავშირებისაკენ. არც თბილისი ჩამორჩა სხვა ქალაქებს. აქაც სულ რამდენიმე თვის განმავლობაში გაჩენილა საკმაოთ დიდი რიცხვი პროფესიონალურ კავშირებისა—30-დე. აი, ბევრ ამ კავშირების წარმომადგენლებმა თავს იდვეს, შეეერთებინათ თბილისში ყველა კავშირები ერთ დიდსა და ფართე წარმომადგენლობაში—ტფილისის პროფესიონალურ კავშირების მუშათა დეპუტატების საბჭოში... ამისათვის მათ გამოიმუშავეს ქვემოდ მოყვანილი წესდება ამ ორგანიზაციისა, ხოლო მისი გატარება თბილისში ყველა არსებულ პროლეტარულ კავშირებში და სისრულეში მოყვანა წესდებისა მიანდვეს არჩეულ კომისიას—ქალაქ თბილისის ყველა პროფესიონალურ კავშირების შეერთების საქმის მომწყობ ორგანიზაციულ კომისიას..-

აი ეს კომისია, მის ამრჩეველთა მონდობილობით, მოგიწვევთ ყველა პროფესიონალურ კავშირების წევრთ, ყველა მათ საბჭოებს, ბიუროებს—დააჩქარეთ თქვენი აზრის გამოთქმა ამ წესდების შესახებ, და მიღების შემდეგ, დაუყოვნებლივ აირჩიოთ, თანახმათ უკვე მიღებულ წესდებისა, წარმომადგენლები დეპუტატთა საბჭოსი.

გაუმარჯოს ჩვენს საქმეს! გაუმარჯოს ჭეშმარიტ სოციალისტურ ერთობას! ძირს ხაზეინები და მათი კავშირები!

—

ორგანიზაციული წესდება

ქალაქ თბილისის პროფესიონალურ კავშირების მუშათა დეპუტატების საბჭოსი.

I. საბჭოს მიზანი.

§ 1. ქალაქ თბილისის პროფესიონალურ კავშირების მუშათა დეპუტატების საბჭო ხელს შეუწყობს პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის ორგანიზაციას იმით, რომ გააერთიანებს (შეაერთებს) განცალკევებულ პროფესიონალურ კავშირებს და ახლების გაჩენასა და გამაგრებას დაეხმარება.

§ 2. ამისათვის საბჭო: ა) გამოსცემს ლიტერატურას (გაზეთს და სხვ.), ბ) მოიწვევს კავშირების კონფერენციებსა და ,,სიეზდებს‘‘, გ) მოაწყობს ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, კლუბებსა და კურსებს, პროფესიონალური მოძრაობის საკითხების შესასწავლათ და სხვა დ) გამოსცემს და გაავრცელებს კავშირთა მოღვაწეობა-მოქმედების შესახებ ანგარიშებს და აწარმოებს სტატისტიკას და ე) მოაწყობს მუდმივსა და დროებით კომისიებს.

§ 3. საბჭო ოფიციალური წარმომადგენელია კავშირებისა, პარტიათა, საზოგადო დაწესებულებათა და სხვათა დამოკიდებულების დროს.

II. საბჭოს შედგენილობა

§ 4. საბჭო შესდგება ყველა დაფორმებულ (რომელთაც აქვთ კასა, წესდება და თავისი აღმასრულებელი ორგანო) პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთაგან, რომელნიც არჩეულ უნდა იქმნენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმის მიცემით.

შენიშვნა. იმ შემთხვევებში, როდესაც, პოლიტიკურ პირობების მიხედვით, პირდპირი არჩენები შეუძლებელია, მაშინ შესაძლებელია მოხდეს ორ-სართულიანი (არჩევნები).

§ 5. არჩევნები პროპორციონალური უნდა იყოს; კავშირები, რომელთაც ხუთას (500) წევრზე მეტი ყავთ, გზავნიან თითო (1-ს დეპუტატს თითოეულ 500-ს წევრზე; ხოლო კავშირები, რომელთაც ხუთასზე (500-ზე) ნაკლები წევრი ყავთ, მაგრამ დაფორმებულნი არიან (ნახე § 4), თითო (1-ს) დეპუტატს.

§ 6. საბჭო ირჩევა ექვსი თვით.

შენიშვნა: ამრჩევლებს ნება აქვთ ყოველ დროს გამოიწვიონ თავიანთი დეპუტატი და სხვა გამოგზავნონ.

§ 7. მორიგი კრებები საბჭოსი უნდა ხდებოდეს არა უგვიანეს ორი კვირისა ერთჯერ: ხოლო ექსტრენ (სასწრაფო, არაჩვეულებრივი) კრებებს კი აღმასრულებელი კომისია იწვევს, საბჭოს ყველა წევრთა ერთი მესამედის ($^1/_3$-ის) მოთხოვნით.

შენიშვნა. საბჭოს აქვს უფლება სათათბირო ხმით მოიწვიოს: 1) წარმომადგენლები იმ სოციალისტურ პარტიათა, რომელნიც დაქირავებულ მუშებ შორის-მუშაობენ და კლასობრივ ბრძოლას აღიარებენ და 2) გამოცდილი ამხანაგები.

III. საბჭოს ორგანოები (დაწესებულებანი).

§ 8. საბჭოს ორგანოებია: ა) აღმასრულებელი კომისია, ბ) უმუშევართა კომისია, გ) პროფესიონალურ კავშირთა მომწყობი კომისია, დ) გაფიცვის კომისია, ე) სალიტერატურო-საგამომცემლო კომისია და ვ) დახმარება-შემწეობის კომისია.

§ 9. საბჭო განსაკუთრებულ ინსტრუქციებში განსაზღვრავს ყველა კომისიების უფლებებსა და ვალდებულებათ.

IV. საბჭოს საშუალებანი.

§ 10. საბჭოს საშუალებანია: ა) ყოველთვიური რეგულიარული შემოსატანი თითოეულ კავშირის კასის საერთო შემოსავლის 10%-ი; ბ) შემოწირულებანი და გ) სხვა-და-სხვა საქმისაგან შემოსავალი.

V. საზოგადო წესები.

§ 11. საბჭოსა და სხვა დაწესებულებათა სხდომის კანონიერად უნდა ცნობილ იქმნე, როცა ყველა წევრთა ორი მესამედი (2/3) დაესწრება.

§ 12. სხდომებზე ყველა საკითხები წყდება უბრალო ხმის უმეტესობით.

რ უ ს ე თ ი.

ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირების სრულიად რუსეთის კონფერენცია. დღეს თითქმის ყველა ცოტათ თუ ბევრათ მსხვილი პროფესიონალური კავშირები შეუდგენ კონფერენციების მოწყობას და საზოგადო სიეზდებისთვის ნიადაგის მომზადებას. მეტად საინტერესოა ამჟამათ ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირების კონფერენცია, რადგან დღეს ეს კავშირები ყველაზე ფართო და მკვიდრ საფუძველზეა დამყარებული.

ამ მიზნით ორგანიზაციულმა ბიურომ წერილობით მიმართა ყველა კავშირებს.—ამ წერილში ის აღნიშნავს, რომ ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირები დღეს თითქმის ყველა ქალაქებში არსებობს ამიტომ მათ გასაგითარებლათ, აუცილებლათ საჭიროა მათი გაერთიანება და მჭიდროთ შეკავშირება. ცალ-ცალკე ქალაქებში უკვე ერთდებიან, კავშირები—ამბობს წერილი. დიდი ხანი არ არის, რაც ვოლგის ნაპირების ქალაქების კონფერენცია მოხდა, პოლონეთის კავშირები უკვე შეერთდენ, ადესის ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის გარშემო ერთდებიან ახლო-მახლო მდებარე პატარა ქალაქები.

ეხლა მხოლოდ საჭიროა ცენტრი, რომელიც ამ შეერთებულ კავშირების გული იქნება და თავის გარშემო შემოკრებს ყველას. არა ერთხელ ცდილან მოეხდინათ ბეჭდვითი საქმის სრულიად რუსეთის კავშირის დაარსება. ოქტომბრის გაფიცვამდე პეტერბურგის კავშირი ცდილობდა გაეხსნა განყოფილებები სხვა-და-სხვა ქალაქებში. ნოემბერში მოსკოვის კავშირმა გადაწყვიტა დაემყარებია მჭიდრო კავშირი კავშირებ შუა და ამ მიზნით თავისი ხუთი დელეგატი გაგზავნა რუსეთის ათ სხვა-და-სხვა ქალაქებში. მარტში ყველა პროფესიონალურ კავშირთა სრულიად რუსეთის კონფერენციაზე ბეჭდვითი საქმის წარმომადგენლებმა ხელ-ახლა აღძრეს ეს საკითხი და დაავალეს მოსკოვს მის განხორციელება. ივლისში ხელ-ახლა განხილულ იქნა ეს საკითხი მოსკოვში და პეტერბურგში. ეს საკითხი ისეთი დიდი და მნიშვნელოვანია, რომ მისი განხორციელება დროს და საშუალებას თხოულობს.

ამ გვარად მოსკოვის კავშირები უკვე შეუდგა ამ საქმის მოწყობას, ამისთვის მათ შეადგინეს ბიურო, რომელშიც ყველა კავშირების წარმომადგენლები შედიან თანასწორათ.

პეტერბურგში უსაქმოდ დარჩენილ მუშათათვის დაარსებულ საზოგადო სახელოსნოს ქალაქმა სხვა-და-სხვა სამუშაო შეუკვეთა, სულ 4 მილიონ მანეთისა. ახლო მომავალში კიდევ სხვა სამუშავოებს შეუკვეთენ. დღეს-დღეობით შეიძლებოდა ერთ და იმავე დროს 10,000 მუშისთვის მიეცათ საქმე, მაგრამ საქმე ამაშია, რომ სახელოსნო მხოლოდ 500—600 კაცს იტევს. უსაქმოთ დარჩენილთა საბჭომ მაინც მოახერხა და რამდენიმე „სმენით“ 2000 კაცს ამუშავებს.

—

ახალი წიგნების გამომცემელი ამხანაგობა. მოსკოვში შემდეგარა ახალი წიგნების გამომცემელი ამხანაგობა „შრომის შეერთების ბიბლიოთეკა“. ამხანაგობას მიზნათ აქვს გამოსცეს ისეთი წიგნები, რომელიც პირდაპირ ეხება პროფესიონალურ მოძრაობის პრაქტიკულ კითხვებს, ჯერ-ჯერეობით შემდეგი წიგნები გამოუციათ:

„ცნობები პროფესიონალურ კავშირების შედგენის შესახებ“. „სამაგალითო ხელშეკრულობა შრომის ამხანაგობისთვის“. „მუშათა კავშირების შეერთების შესახებ ცნობები“. ს. ბელინისა. „სავაჭროებში მოსამსახურეთა პროფესიონალური მოძრაობა“, მისივე. დასაბეჭდათ მზათ არის: „ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური მოძრაობა“. „როგორ უნდა შეერთდენ გლეხები“. „რატომ არის საჭირო მუშებისათვის სახმარებელი საზოგადოება? „სახელოსნო წარმოების მუშების პროფესიონალური მოძრაობა“ და სხვა.

—

გაზეთ „მუშათა კავშირი“-ს აზრი დუმის არჩევნების შესახებ. „პოლიტიკური კითხვები დღეს ჩვენი კავშირებისთვის პრაქტიკულ კითხვებათ გადაიქცა. კაპიტალსა და შრომას შუა ბრძოლა მეტის მეტათ გამწვავდა; სულ მოკლე დროში დაარსდა კაპიტალების ძლიერი ორგანიზაცია, გაფიცვები ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა და მთლათ მოედვა, როგორც მთელ რაიონებს ისე ცალკე პროფესიებსაც. უკანასკნელ დროს ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ ბრძოლისათვის მარტო გაფიცვები არა კმარა და საჭიროა კანონმდებლობითი დაცვა. ეს კარგათ შეიგნო ყველა კავშირებმა, მაგრამ რადგანაც მუშათა მოთხოვნების ბედი პოლიტიკურ ნიადაგზე წყდება, ამიტომ პროფესიონალურმა კავშირებმა ეხლავე უნდა მიიღონ ყოველივე საშუალება იმ პოლიტიკურ პარტიის გასამაგრებლათ, რომელიც მასთან ერთათ ერთ ნიადაგზე დგას მუშათა კლასის ინტერესების დაცვისათვის. ასეთი პარტია დღეს სოციალდემოკრატიული პარტიაა. ჩვენი კავშირები პარტიის გარეშე წერტილზე დგანან; ისინი წინდაწინ არ დაემორჩილებიან რომელიმე პოლიტიკურ პარტიის დადგენილებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს თითქო კავშირებისთვის სულ ერთი იყოს რომელ პარტიასაც დაუჭერს მხარს. ეს კითხვები პროფესიონალურ მოძრაობის მიხედვით უნდა გადასწყვიტონ კავშირებმა.

—

პროფესიონალური მოძრაობა პროვინციებში. თუ რამდენათ გაფართოვდა და ფრთა შეისხა პროფესიონალურმა მოძრაობამ ამ უკანასკნელ ხანებში ამის, მოწმე ის გარემოებაა, რომ მსხვილ სამრეწველო ქალაქებიდან ის პატარა ქალაქებს და დაბებს მოეპიდა, ამის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა მოსკოვის კავშირების გაზეთი „მუშათა კავშირი“. კიევში ამ ცოტა ხანში შესდგა მებუბლიკეების, თერძების და კანტორის მოხელეთა კავშირები. ბაქოში—სდგება „კატელნიკების“ (მექვაბეების) კავშირი. ყველა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების თათბირმა გამოიტანა—რეზოლიუცია ხელი შეუწყონ კოოპერატიულ მოძრაობას სახმარებელ დუქნების დაარსებით. სამარეანდში—გახურებული მოძრაობაა მბეჭდავების კავშირების შესადგენათ. ვილნაში – კავშირები მედგრათ ებრძვიან ხაზეინებს; სადურგლო სახელოსნოს მუშები მოითხოვენ ცხრა საათის სამუშაო დღეს. ხერსონში—ხდება ლითონების მუშათა კავშირები. კასტრომაში—

ბეწვიან საქონლის დამარხილებელ მუშებს უკვე აქვთ ძლიერი კავშირი, რომლის წევრები 1686-ზე მეტი იქნება. სდგება მესტამბეების, მოსამსახურეების და ლითოგალური კავშირი არსებობს. სდგება ახლები.

საზღვარ-გარეთ.

იტალია. 7 ოქტომბერს ქალაქ რომში გაიხსნა იტალიის სოციალისტურ პარტიის მორიგი მე-IX კონგრესი. კრისპის *) განსაკუთრებულ კანონების დამხობის შემდეგ, იტალიის სოციალისტური პარტია ცხარე ბრძოლის ბანაკს წარმოადგენს რეფორმისტებსა და რევოლიუციონერთა შორის. ეს ბრძოლა უკანასკნელ დროს უფრო და უფრო მწვავდებოდა, რადგანაც ორივე ფრაქციამ თვით საქმეზე დაახასიათა თავისი პოლიტიკური სახე და ვინაობა: როდესაც პროლეტარიატი გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგ მამაცურათ ამხედრდა და ორჯელ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა, რეფორმისტები ისე მასხარათ იგდებდნენ გაფიცვას, ამ უპირველეს იარაღს პროლეტარიატის სიძლიერისას, ისე ზიზღს უცხადებდნენ და ხელს უშლიდნენ გაფიცულებს, რომ ამას არც ერთი მთავრობის აგენტი არ იზამდა; ამავე დროს იგივე რეფორმისტები მოითხოვდნენ, რომ სამინისტროსთვის ნდობა გამოეცხადებინათ. ორივე მხარეს გულში ისე ღრმათა ჰქონდა ჯავრი ჩატანილი, რომ მოსალოდნელი იყო კონგრესი მშვიდობით არ დასრულდებოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, პროლეტარული მასსა თავიდანვე მტრულათ უყურებდა ფრაქციულ აყალ-მაყალს და მშვიდობიან მუშაობას მოითხოვდა. ამან შესაფერი გავლენა იქონია კონგრესზე, ცხარე შეტაკებები აცილებულ იქმნა. ამასთან, რეფორმისტებმაც საქმე ოსტატურათ წაიყვანეს: იმის მაგივრათ, რომ თავი ემართლებინათ პროლეტარულ ბრძოლის გზის ღალატში, თითონ მტყუნება სხვას დაუწყეს—ე. წ. სინდიკალისტებს, რომლებიც პარტიაში უფრო რევოლიუციონურ ფრთას წარმოადგენენ. იმათ რეფორმისტები ანარქისტობას სწამებდნენ და მათ პარტიიდან გაძევებას მოითხოვდნენ. ასეთი ოსტატობით რეფორმისტებმა, მართლაც, გაჭირვებიდან თავი გამოიძვრინეს და, იმის მაგივრათ, რომ რომის კონგრესი ბოლონიის კონგრესის გაგრძელება ყოფილიყო და რეფორმისტების ალაგმვას ცდილიყო, სინდიკალისტებს გამოუცხადა ომი. შედეგი ის იყო, რომ სინდიკალისტები გამოვიდნენ რევოლიუციონური ტაქტიკის დამცველნი და კონგრესმა, სინდიკალისტების სახით, პარტიის რევოლიუციონურ ანდერძებთან დაამცრო. მიღებული რეზოლიუცია ცხადად არის მიმართული სინდიკალისტურ ტაქტიკის წინაამღდეგ: ის უარყოფს „საყოველთაო გაფიცვის წრეს-გადასულ მოხმარებას“, პირდაპირი მოქმედების გადიდებას, როცა ის პარლამენტარული მოქმედების სახელის გასატეხათა და არა მის შესავსებათ არის მიმართული; საზოგადოთ, სახელმწიფოს უარყოფა, რამდენადაც ის სოციალურ კანონმდებლობის დამცირებისაკენ არის მიმართული და სოციალისტურ სახელმწიფოს უარყოფას წარმოადგენს“. ამნაირათ, პარლამენტარიზმის და სოციალურ კანონმდებლობის სახელით, კონგრესმა სინდიკალიზმის ანარქიული ელემენტები ამოიღო ნიშანში. ამაში თავისთავათ სამარცხვინო არა არის-რა, მაგრამ, თითონ პარლამენტარიზმი იმავე რეზოლიუციაში მახინჯი ფორმით არის წამოყენებული. იქ, სადაც რეზოლიუცია მთავრობასთან თანამშრომლობას ეხება, ის კრძალავს ასეთ თანამშრომლობას, მხოლოთ როგორც სისტემას,—მაშასადამე, არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს ცალკე, შემთხვევითი თანამშრომლობისა. რაც შეეხება პარლამეტარულ ფრაქციის ქცევას, მას არ შეუძლიან ნდობა გამოუცხადოს სამინისტროს, თუ განსაკუთრებულ შემთხვევაში არა.

ამნაირათ, კონგრესზე რეფორმისტულმა ტაქტიკამ გაიმარჯვა. საყურადღებო იყო კამათი სხვადასხვა კითხვებზე. საყოველთაო გაფიცვის შესახებ სინდიკალისტების მეთაურმა არტურ ლაბრიოლამ ასე გამოსთქვა თავისი მრწამსი: საყოველთაო გაფიცვა სიმბოლოა კაპიტალისტების დამხობისა, სოციალურ რევოლიუციისა; ის მუშათა მასსაში რევოლიუციონურ გრძნობებს ჰბადებს; ისასწავლის, მასსა იდეასათვის თავის თავს მსხვერპლათ შეწირვას. საყოველთაო გაფიცვა მაჩვენებელია იმისი, რომ სოციალიზმი მხოლოდ ეკონომიურ გარდაქმნის შედეგი იქნება, და არა პოლიტიკური თავის მოტყუებისა. რომ სოციალიზმს რევოლიუცია შობავს და არა თანდათანობა. საყოველთაო გაფიცვა სოციალურ რევოლიუციის შემოკლებული ფორმულაა. ესდატისტები (გოსუდარსტვენნიკები — ვინც სახელმწიფო ძალის პროლეტარიატის მიერ ხელში ჩაგდებას ქადაგებს) სოციალიზმს პოლიტიკას“, სახელმწიფოს „პროტექციას“ უმორჩილებენ, ჩვენთვის კი სოციალიზმი, „ავტონომიურიაო“. ასეთია მოკლეთ სინდიკალისტური მსოფლიომხედველობა. საყოველთაო გაფიცვა, მათი აზრით, ყოველ დღეც რომ იმართებოდეს, ურიგო არ იქნება; ის ყოველთვის და ყოველგან სასურველია. პარლამენტარიზმი ყოველთვის და ყოველგან მავნებელია. რასაკვირელია ერთიც და მეორე აზრიც შემცდარია, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სინდიკალიზმის ცოცხალი რევოლიუციონური სული, ალლო მეტია; და მათზე რეფორმისტების გამარჯვება სასურველათ არ უნდა ჩაითვალოს.

გერმანია. გერმანიის უკანასკნელი სოციალდემოკრატიული პარტიული კრება, ანუ, როგორც თითონ გერმანელები უწოდებენ, პარტეიტაგი დიდმნიშვნელოვან მოვლენათ ჩაითვლება არა მარტო გერმანელ ამხანაგებისათვის, არამედ მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვისაც. იქ სწორეთ ის კითხვები გადაწყდა, რომლებიც მთელი ქვეყნის მუშებს აღელვებენ და აფიქრებენ—კითხვა საყოველთაო გაფიცვისა, და აგრეთვე პარტიასა და პროფესიონალურ კავშირებს შორის ურთიერთობისა. გერმანელი მუშები მარტო თეორეტიულათ არ იყვნენ ამ კითხვებით დაინტერესებულნი; უკანასკნელი წლის პრაქტიკა დაჟინებით ითხოვდა მათზე პასუხს. რუსეთის რევოლიუციას გერმანელი მუშის „მშვიდობის მოყვარე“ გულიც გამოეხმაურა და მასაც რევოლიუციონური საქმის ჟინი გაუღვიძა. ნოემბერში, როცა რუსეთში რევოლიუციის ტალღები გიჟურათ ბობოქრობდა, გერმანიის ბევრ ალაგას, მაგალითად, პრუსიაში, საქსონიაში და სხვაგან აშკარა რევოლიუციონურმა მოძრაობამ იჩინა თავი.

*) კრისპი—იტალიის მთავარი მინისტრი იყო მე-90 წლებში.

რუსეთის გაფიცვების ზეგავლენით, იქაც დაიბადა საყოველთაო გაფიცვის აზრი; და შეიძლებოდა ეს აზრი განხორციელებასაც მიახლოვებოდა, რომ დეკემბერში რუსეთის რეაქციას არ გაემარჯვნა. ამიტომ პარტიულ კრებამდისაც სოციალდემოკრატები ზემოხსენებულ კითხვების ცხარე განხილვაში იყვნენ—ადგილობრივ კრებებზე, მრავალ რიცხვოვან ყრილობებზე, ჟურნალებში და გაზეთებში. სამი სხვა-და-სხვა მიმართულება, რომელმაც ზედ პარტეიტაგზე იჩინა თავი, წინადროის კამათში უკვე საკმაოთ გამორკვეული იყო. მიუხედავათ ამისა, მაინც ადვილი მისახვედრია, თუ რა ცნობისმოყვარეობით მოელოდნენ პარტიის წევრები პარტეიტაგის მსჯავრს, რომელიც მთელი პარტიის ფიქრისა და ნება-სურვილის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

პირველი მოხსენება საყოველთაო გაფიცვის შესახებ ბებელმა წაიკითხა. პარტიის ერთ ნაწილს, რომელიც უკიდურესი მომხრე იყო საყოველთაო გაფიცვისა, პარტეიტაგის წინა დისკურსიების ხანაში არა ერთხელ უკიჟინებია პარტიის ხელმძღვანელ წრეებისთვის, რომ ისინი შარშანდელ პარტეიტაგის (მოსდა ქალაქ იენში) რეზოლიუციით არ ხელმძღვანელობენ და ეხლავე საყოველთაო გაფიცვის სამზადისში არ არიანო. ბებელის მოხსენებაც უმთავრესათ ამ ბრალდების საპასუხოთ იყო აგებული. ის ამტკიცებდა, რომ იენის რეზოლიუცია, რომელიც პრინციპიალურათ იღებს საყოველთაო გაფიცვას, როგორც საუკეთესო ბრძოლის საშუალებას, სრულებით არ გვავალებს, ეხლავე მის პრაქტიკულათ განხორციელებას შევუდგეთ. ამნაირათ, ბებელმა პირველათ მანჰეიმის პარტეიტაგზე პრაქტიკულათ დააყენა კითხვა; თუ იენში ის მემარჯვნეებს ეკამათებოდა, რომლებიც პრინციპიალურათ წინააღმდეგნი იყვნენ საყოველთაო გაფიცვისა, მანჰეიმში ბებელმა მემარცხნეების წინააღმდეგ გაილაშქრა, რომლებიც საჭიროთ სთვლიდნენ გაფიცვისათვის დღეიდანაც სამზადისის შედგომას. ის ხაზს უსვამდა გერმანიის დღევანდელ ცხოვრების პირობებს, რომელსაც უნდა შესჯახებოდა საყოველთაო გაფიცვა, და ძალიან უნუგეშო დასკვნა გამოჰყავდა

„საყოველთაო გაფიცვა გერმანიაში და პრუსიაში, ეჭვი არ არის, სულ სხვა მნიშვნელობას მოიპოვებდა, ვიდრე რომელსამე სხვა ქვეყანაში. ის ძალები და ის ორგანიზაციები, რომლებთანაც ჩვენ საქმე გვექნებოდა,—ერთი მხრივ პრუსიის ტახტი და იუნკრები, მეორე მხრივ—სამრეწველო ბარონების მკვიდრი ორგანიზაციები,—რაწამს საყოველთაო გაფიცვის უმცირეს ცდასაც არის დაინახავდნენ, ყოველგვარი უსაზიზღრესი საშვალებებით გამოილაშქრებდნენ ჩვენს წინააღმდეგ და მაშინ გაფიცვის გასაყვანათ ისეთი ორგანიზაციული შეკავშირება დაგვჭირდებოდა, რომელიც არც ეხლა გვაქვს და არც შორეულ მომავალში გვჭირდება“. რათ დაავიწყდა ბებელს გერმანიის მძლავრი პროფესიონალური კავშირები?—იკითხავს მკითხველი,— და პარტიის მემარცხნეებს მართლაც ისინი ჰყავდათ სახეში, როცა საყოველთაო გაფიცვის კარგათ წაყვანის იმედი ჰქონდათ. საქმე კი სწორეთ იმაშია რომ პროფესიონალური კავშირების ხელმძვანელები, რომლებიც რევიზიონიზმს გაუტაცნიათ, წინააღმდეგნი არიან საყოველთაო გაფიცვისა, რაც თავის მეხუთე კონგრესზე დაამტკიცეს. კითხვა ახლა იმაშია, შეიძლება თუ არა, რომ სოციალდემოკრატ პროფესიონალისტებს მოვთხოვოთ, რომ ისინი პარტიის გადაწყვეტილებას დაემორჩილონ. შეიძლება და ასეც უნდა იყოსო,—ამბობდნენ კაუცკი და მემარცხნენი, ბებელი კი ამის წინააღმდეგი იყო. ,,საკმაოა, ამბობდა ის,—სრულიად ზერელეთ გავეცნოთ იმ დებატებს რომლებიც აქამომდე სწარმოებდა საყოველთაო გაფიცვის შესახებ, რათა დავრწმუნდეთ, რომ პროფესიონალურ კავშირების ხელმძღვანელთა და წევრთა დაუთანხმებლათ გაფიცვის გატარებაზე ფიქრიც კი მეტია‘‘.

ამიტომ ბებელი ძალაუნებურად ურჩევდა ამხანაგებს იმ დრომდის მოეცადნათ, ვიდრე თვით პროფესიონალური კავშირები ნელნელა არ შეეჩვეოდნენ საყოველთაო გაფიცვის იდეას, ან ვიდრე რაიმე შემთხვევა არ აიძულებდა მათ ამ იარაღისთვის ხელი მოეკიდნათ. როგორი უნდა იყვეს ეს შემთხვევა? „თუ ვინიცობაა მუშებისათვის და კერძოთ პროფესიონალურ კავშირთათვის საჭირო კოალიციათა უფლებას ხელს შეახებენ და წართმევას მოუნდომებენ, მაშინ პროფესიონალური კავშირები პარტიის თაოსნობას აღარ დაუცდიან და საყოველთაო გაფიცვის იდეას თითონვე წამოაყენებენ.

გაფიცვის დაუყოვნებლივ გამოცხადების მომხრეები ხშირათ რუსეთის საყოველთაო გაფიცვების მაგალითებზე უთითებდნენ. ბებელმა ამაზედაც შემდეგი შინაარსის პასუხი გასცა.

მასსიური გაფიცვის გატარება ყოვლად შეუძლებელია, თუ თითონ მასსას გული არა აქვს ამ გაფიცვაზე. საჭიროა შესაფერი ფსიხოლოგიური პირობები. რუსეთში ასეთ პირობებს თვით რუსეთის თვითმპყრობელობა ჰქმნის. იქ მასსა ყოველგვარ ადამიანურ და სამოქალაქო უფლებებს არის მოკლებული, და სხვა გზა ბრძოლისა არაა, თუ არ საყოველთაო გაფიცვა და შეიარაღებული აჯანყება. შესაძლოა გერმანიაშიაც დადგეს ასეთი პირობები; ნურავინ იტყვის, „ვითომ გერმანია გერმანელთა ბუნებრივ ხასიათის მეოხებით უკუნითი უკუნისამდე უზრუნველ-ყოფილია ასეთი რევოლიუციონური აფეთქებისაგან (სისხლის ღვრა)“. მაგრამ ჯერ ასეთი პირობები არ დამდგარა და ამიტომ საყოველთაო გაფიცვას ჯერჯერობით ნიადაგი აკლია. დასასრულ ბებელმა სთხოვა კრებას, მორიდებოდნენ პროფესიანალურ კავშირთა მტრულათ შეხებას და თავის საკუთარი რეზოლიუცია წარადგინა, რომელიც მის აზრს მოკლეთ გამოხატავდა.

ბებელის გარდა მეორე მომხსენებელი იმავე კითხვაზე ლეგინი იყო რომელიც პროფესიანალურ კავშირთა სახელით ლაპარაკობდა. მის დიდ სიტყვაში აღსანიშნავია შემდეგი: დღეს დღეობით საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება მხოლოდ მავნებელი და უსარგებლო იქნება. არც პროფესიანალურ ორგანიზაციებს აქვთ ჯერჯერობით იმდენი ძალა, რომ საყოველთაო გაფიცვა მოიგონ. „თუ გვინდა, რომ ქვეყნის მთელი ცხოვრება შევაჩეროთ, საჭიროა ტრანსპორტის მუშათა შეკავშირება; ეს მუშები კი, მეტადრე რკინის გზის მუშები, ყოველ ორგანიზაციის გარეშე დგანან“. თამამათ შემიძლიან ვსთქვა, რომ მუშაობაზე მასსიური ხელის აღება შესაძლო იქნებოდა ლითონის და ხის წარმოების მუშებში, აგრეთვე საშენებელ წარმოებაში და ტანისამოს-ფეხსაცმლის ფაბრიკებში. ბევ-

რათ უფრო გაძნელდებოდა საქმე ისეთ წარმოებაში, რომლებიც სურსათეულობას დაიმუშავებენ, რადგანაც იქ საკმაოთ მტკიცე ორგანიზაცია ვერ არის“.

დიდათ საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა კაუცკიმ. როგორც ზევით დავინახეთ, ბებელმა კითხვა საუცხოოთ დააყენა, მაგრამ ბოლოს დიდი რიდი და სიფრთხილე გამოიჩინა და კითხვის ბოლომდე გაყოლა აღარ მოინდომა. კაუცკიმ ასეთი „სიფრთხილე“ ძალიან შორს დაიჭირა. იენის პარტეიტაგმა პრინციპიალურათ გადასწყვიტა საყოველთაო გაფიცვის შეტანა მუშათა ბრძოლის არსენალში. დღეს კი კითხვა არა პრინციპზე, არამედ მის განხორციელებაზე მიდგა. რა გზით შეუძლია პარტიას მისი განხორციელება?—პროფესიონალური კავშირების საშთალებით, რომლებსაც სოციალდემოკრატები ხელმძღვანელობენ. შედეგი ცხადია. მაშ პარტიამ უნდა დაავალოს ამ ხელმძღვანელებს, რომლებისთვისაც პარტიის დავალება, როგორც მისი წევრებისათვის, სავალდებულოა, რომ ამ პრინციპიალურ დადგენილების განხორციელებას ხელი შეუწყონ, როგორც ამას პარტია შესაძლოთ და საჭიროთ დაინახავს. ბებელმა ასე არ დააყენა კითხვა. ის ამბობდა: დეე, როცა პროფესიანალური კავშირები და მათი ხელმძღვანელები დაინახავენ საჭიროთ, მაშინ წამოაყენონ საყოველთაო გაფიცვაო. კაუცკი ამას არ ეთანხმებოდა. მისი მოსაზრებანი ასეთია: ერთად-ერთი საბუთი ბებელის აზრისა შეიძლება ის იყოს, რომ ვაი თუ სოციალდემოკრატიის გავლენის დაკანონება, მისი დადგენილება, პროფესიონალისტებისათვის სავალდებულოთ გახდა, მავნებელი შეიქმნეს პროფესიანალურ კავშირებისათვის; ვაი თუ მათზე სოციალისტურმა პროპაგანდამ დამჩაგვრელათ იმოქმედოს? კაუცკი ასეთ აზრს ღრმა შეცთომათა სთვლის.

რაშია პროფესიონალურ კავშირების ძალა? ერთი მატერიალურ საშვალებაში და მეორე მათ საბრძოლველ ხასიათში. მარტო მატერიალური ძალა ვერ ააყვავებს პროფესიონალურ კავშირებს. ინგლისის ტრედ-უნიონებს სიმდიდრით არც ერთი ქვეყნის კავშირები არ შეედრება. წევრების მატერიალური დახმარება მათ სამაგალითოდ დააყენეს. მიუხედავათ ამისა, ისინი დღითი-დღე სჭკნებიან. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ მათ არა ჰყავთ სოციალდემოკრმტია, რომელიც მათ ბრძოლის სულს ჩაუდგამდა.

სწორეთ სოციალდემოკრატიის მეოხებით აყვავდნენ გერმანიის პროფესიონალური კავშირები. მაშ თუ ასეა, არამც თუ არ უნდა შევასუსტოთ მათზე სოციალდემოკრატიის გავლენა, პირიქით, ხელი უნდა შევუწყოთ მას. ასეთი დასკვნა კი პროფესიონალისტებისათვის პარტიულ დისციპლინას სავალდებულოთა ხდის და მას არ უნდა გადაეღობოს წინ ხელმძღვანელთა კერძო ინტერესი და თავმოყვარეობა, ან მათდამი ხათრი, ასეთი იყო კაუცკის აზრი; სამწუხაროთ, პარტეიტაგმა ეს აზრი არ შეიწყნარა. ის ხელმძღვანელობდა ბებელის შემდეგი მოსაზრებით, რომელიც მან თავის უკანასკნელ სიტყვაში გამოსთქვა. „ჩვენ პრინციპიალურათ წინააღმდეგი არა გვაქვს რა არც ამ აზრის (კაუცკისა), არც მისი ფორმისა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება ის დანიშნულება, რომელიც უკისრია ამ პარტეიტაგს. პირველ ყოვლისა ჩვენ გვინდა მშვიდობა და თანხმობა დავამყაროთ პარტიასა და პროფესიონალურ კავშირებს შორის; ამიტომ ჩვენ უნდა ვერიდებოდეთ ყველაფერს, რაც კი, შეიძლება, ვინმემ ისე ახსნას—სწორეთ თუ შემცდარათ, სულ ერთია—ვითომ ჩვენ გვინდოდეს ერთი რომელიმე მხარე დავჩაგროთ“.

პარტეიტაგმა ბებელის რეზოლიუცია მიიღო რამდენიმე მცირე მნიშვნელოვან შესწორებით.

სხვა კითხვებს პარტეიტაგმა ნაკლები დრო მოანდომა.

სტატისტიკა.

პროფესიონალური მოძრაობა ავსტრიაში. დღევანდელი პროფესიონალური მოძრაობა ავსტრიაში დიდი ხნის არაა მართალია, წარსულ საუკუნის მესამოცე წლებში, როდესაც სოციალდემოკრატიული აზრების პროპაგანდა დაიწყეს, ყურადღება მიაქციეს პროფესიონალურ კავშირების მოწყობას, მაგრამ ეს კავშირები ისე პატარა და სუსტი იყო, რომ ავსტრიის პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლაში თვალსაჩინო როლს ვერ თამაშობდა. ამასთანავე ამ კავშირების ორგანიზაცია ისე ცუდათ იყო მოწყობილი, რომ ხშირათ დევნას ვერ უმკლავდებოდა. 1888 წ. გაინფელდში შემაერთებელი სიეზდი მოხდა. ამ სიეზდზე ავსტრიის მუშებში არსებული ორი მიმდინარეობა შეერთდა და ამ შეერთების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პროფესიონალურ მოძრაობის განვითარებას. სამმა თუ ოთხმა წელმა განვლო ამ სიეზდის შემდეგ და პროფესიონალური მოძრაობა ისე გაიზარდა, რომ საჭირო შეიქნა დაარსება ცენტრალური დაწესებულებისა, რომელიც ყველა კავშირებს შეაერთებდა. ამ ცენტრალური დაწესებულების დაარსებამ თავის მხრით პროფესიონალური მოძრაობა ძლიერ წინ წასწია. აი ამ დაწესებულების დაბადების შემდეგ ავსტრიაში არსებობს სტატისტიკური ცნობები პროფესიონალური მოძრაობის შესახებ და ეს დაწესებულება ყოველ წლობით ანგარიშს აქვეყნებს ამის შესახებ.

1905 წ გამოქვეყნებული ანგარიში ნათლათ და ცხადათ ამტკიცებს პროფესიონალურ მოძრაობის მომავალ განვითარებას. 1905 წ. მიწურულში ავსტრიის წარმოებაში მუშაობდა 2,226,601 კაცი და კავშირში შედიოდა 323,099 კაცი, ე. ი. 14,5 პროცენტი. მათ შორის 294,697 მამა-კაცი და 28,402 დედაკაცი იყო. ამ კავშირებში ეროვნების-და მიხედვით შედიან გერმანელები, ჩეხები, პოლონელები, სლავიანები და იტალიელები. ამ უკანასკნელ წელს (1905 წ.) წევრთა რიცხვს მოემატა 133,978 კაცი, ე. ი. 70,85 პროცენტი. ყველაზე მეტი რიცხვი წევრებისა მიემატა სართავ ფაბრიკის მუშების კავშირს (133,56 პროცენტი), რკინის მკეთებელ და მეტალის მუშების კავშირს მოემატა 124,02 პროცენტი, დურგლებს—169,52 პროცენტი.

ყველაზე უფრო მეტი პროფესიონალურათ შეკავშირებული მუშები ვენაში არის—102,953 კაცი, ე. ი. 31,86 პროცენტი მთელი შეერთებული მუშებისა. ვენის შემდეგ ბოგემიაში — 98,325 წევრი, ანუ 30,43%. ამ ორ ქალაქში ასე ამ რიგათ არის ერი მესამედი მთელი შეკავშირებული მუშებისა.

რაც შეეხება კავშირების მატერიალურ მხარეს 1905 წ. შემოსავალი ქონდათ: 4,641,726 კრონი (კრონი უდ-

რის 1 მ. და 45 კ.), გასავალი კი 3,829,751 კრონი. 1904 წ. შემოსავალი იყო 3,392,970 კრონი და გასავალი კი 3,004,160 კრონი.

ამ ციფრებში არ შედის შემოსავალ-გასავალი გაფიცვის სასარგებლოთ, რადგანაც ავსტრიის კანონები კავშირებს ნებას არ აძლევს პროფესიონალური ორგანიზაციებიდან გაფიცვის დროს ფულით დახმარება მიეცეს. ამ მიზნისთვის იქ არსებობს განსაკუთრებული შემოსავალი. ამ „საწინააღმდეგო კასის“ შემოსავალი სხვა-და-სხვა დარგში სხვა-და-სხვა გვარია. ეს ფულები აბარია ეგრედ წოდებულ თავისუფალ ორგანიზაციას. 1905 წ. გაფიცვაში დაიხარჯა 1,160,000 კრონი, მაგრამ ეს ციფრი სინამდვილეს არ უდრის, ვინაიდან აქ არ შედის სხვა-და-სხვა გაფიცვისთვის დახარჯული ფულები. 1905 წ. უმთავრესი ხარჯი იყო შემდეგი: სამგზავროთ, ე. ი. ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე ალაგის საძებრათ წასასვლელად მიეცა კავშირის წევრებს 118,000 კრონი, უმუშევრათ დარჩენილებს დასახმარებლათ—733,000 კრონი, ავათმყოფებს, ინვალიდებს, ე. ი. იმ მუშებს, რომლებსაც სრულიად მუშაობა არ შეუძლიათ, ქვრივებს და სხვებს—738,000 კრონი, გაჭირვებულებს დასახმარებლად 141,000 კრონი. სულ დასახმარებლათ დაიხარჯა 1.732.000 კრონი. სხვა ხარჯთა შორის 1905 წ. კიდევ იყო შემდეგი: სასამართლოებში ხარჯი 69,000 კრონი, პროფესიონალურ გაზეთისთვის 566,000 კრონი, სწავლა-განათლებისათვის 130,000 კრონი, აგიტაციის და ორგანიზაციისთვის 361,000 კრონი, სამმართველოს სხვა-და-სხვა ხარჯი 304,000 კრონი, მოსამსახურეების ჯამაგირებში 309,000 კრონი და სხვა-და-სხვა სააგიტაციო მიზნისთვის 354,000 კრონი.

პროფესიონალური პრესა ყოველ წლობით მატულობს. სულ ავსტრიაში გერმანულ ენაზე დღეს გამოდის 40 გაზეთი, ჩეხების ენაზე 29 გაზეთი, პოლონურ ენაზე 5 გაზეთი და ერთი იტალიურ ენაზე. საერთოთ ამ გაზეთების ტირაჟი (დაბეჭდილი გაზეთების რიცხვი) უდრის 331,930 ეკზემპლიარს; ამათ შორის 204,450 ეკზემპლიარი გერმანული, 110,150 ეკზემ. ჩეხების ენაზე, 16.700 ეკზ. პოლონურ ენაზე და 630 იტალიურ ენაზე.

პროფესიონალური კავშირების შემწეობით, ავსტრიის პროლეტარიატმა ბევრათ გაიუმჯობესა თავისი ყოფა-მდგომარეობა. ქირის მომატება, სამუშაო დღის შემცირება, ტარიფის შემოღება ამ მუშაობის ნაყოფი იყო.

„შრომის ბირჟა“ და ქალაქის თვითმართველობა.

როდესაც თბილისის უმუშევართა საბჭომ დაინახა, რომ, სახელმწიფო სათათბიროს დათხოვის შემდეგ, შავბნელი რეაქცია სრული განუსაზღვრელი სიძაცრით მოევლინა საზოგადო ცხოვრებას; როდესაც მან დაინახა, რომ, ამ შეცვლილ პირობებში, წინანდებურათ არ შეიძლება უმუშავართა დემონსტრაციების მოხდენა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რათა აიძულონ ქალაქის მამები დაემორჩილონ ორგანიზაციულათ შეკავშირებულ უმუშევართა მოთხოვნებს—ერთერთ თავის კრებაზე დაადგინა: მოეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ მან უმუშევართა საბჭოს დროებით, სანამ ნამდვილი მოეწყობოდეს, მისცეს „შრომის ბირჟის“ უფლებები. ეს, გარდა იმისა, რომ მცირე დახმარებას მაინც გაუწევდა ორგანიზაციულათ შეკავშირებულ უმუშევრებს, იმით, რომ ქალაქის აუცილებელ სამუშაოებს მათ ხელში დასტოვებდა, დიდ როლს ითამაშებდა, როგორც ნებადართული დემოკრატიული დაწესებულება, რომელიც უმუშევართა ურთიერთ შორის კავშირს არ შეწყვეტდა, თანდათან შემოიკრებდა და ორგანიზაციულათ შეაკავშირებდა ახალ-ახალ უმუშევართაც. ზაფხულის საზოგადო სამუშაოების გათავების შემდეგ, უმუშევართა საბჭო, როგორც ორგანო, რომელიც ნებადართული იყო მთავრობისაგან ამ სამუშაოების მოსაწყობათ—იშლებოდა. საქმისთვის-კი საჭირო იყო იმის ნაცვლათ სხვა, ახალი, ნებადართული დაწესებულება. ამგვარ დაწესებულებათ, უმუშევართა საბჭოს აზრით, უნდა ყოფილიყო „შრომის ბირჟა“, ქალაქის გამგეობამ ამნაირ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, მხოლოდ მოისურვა თავის მხრივ თვითონვე მოაწყოს შრომის ბირჟაც. ეტყობოდა, ქალაქის გამგეობას უმუშევართა ორგანიზაციასთან საქმის დაჭერა სრულიად აღარ უნდოდა. მისი აზრით, საზოგადო სამუშაოებთან ერთად უმუშევართა ორგანიზაციაც უნდა გამქრალიყო. მაგრამ აკრე არ უყურებდა ამ საქმეს უმუშევართა საბჭო. ის ქალაქის გამგეობას ვერ მიანდობდა ისეთი საქმის გაძღოლას, როგორიც არის შრომის ბირჟა და, მაშასადამე, ვერც დაკმაყოფილდებოდა გამგეობის დადგენილებით. ისიც დაადგა იმ ერთად ერთ გზას, რომელიც მას დარჩა... როგორც გამოირკვა, საჭირო იყო უმუშევარ მუშებზე მზრუნველობა გადასულიყო უფრო ძლიერ ორგანოების ხელში, ისეთ ორგანოების ხელში, რომელთა პირდაპირ მოვალეობას ეს მზრუნველობა შეადგენს. ამიტომ უმუშევართა საბჭომ ამ საქმის გასაძღოლათ მიმართა პროფესიონალურ კავშირებს...

ქალაქის გამგეობა-კი, დაპირებისამებრ, შეუდგა შრომის ბირჟის პროექტის შემუშავებას. ჯერ-ჯერობით ამ პროექტის შესახებ არაფერს არ ვიტყვით, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ქალაქის თვითმართველობის ხელში შრომის ბირჟა ოდნავათაც ვერ დააკმაყოფილებს მუშებს. რომ ის ჩვენი მამების ხელში თავის დღეში ვერ გახდება სიცოცხლით სავსე დაწესებულებათ, ამის თავდებია მთელი წარსული და დღევანდელი მოქმედება ქალაქის თვითმართველობის ტლანქი მეხანიზმისა.

მაინც როგორ შეხვდა ქალაქის „დუმა“ გამგეობის პროექტს? ჩვეულებრივათ... რადგანაც იმნაირი შრომის ბირჟა, როგორსაც ქალაქის გამგეობა ადგენდა, როგორც მომხსენებელი ამბობდა, რიგაშიც და სხვა ქალაქებშიაც არსებულა... ჩვენმა „ინტელიგენტურმა“ დუმამ აირჩია კომისია პროექტის განსახილველათ და ვრცელი მოხსენების წარმოსადგენათ. ეს-კი იმას ნიშნავს, რომ საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტა გადაიდო განუსაზღვრელ მერმისისთვის. ამის თავდებიც ქალაქის საბჭოს-მიერ არჩეული სხვა-და-სხვა კომისიების მოქმედებაა. კომისიას ორ კვირაში უნდა წარედგინა თავის მოსაზრება. გავიდა ორი, ოთხიც და მეხუთე კვირაც და კომისიის მოხსენება-კი არსადა ჩანს და არც არავინ ეკითხება კომისიას თუ რათ აგვიანებს საქმეს. იქნება ქალაქის მამებს უნდათ ჩვეულებრივათ „მიაფუჩეჩონ“ საქმე, დავიწყებას მისცენ ის. მაგრამ რათ არ იციან, რომ მიზეზები, რომლებმაც ცხოვრების აუცილებლობის წესით დაბადა შრომის ბირჟის მოწყობის საკითხი, ისევ არსებობს და გადაჭრილ, ჩქარ პასუხს ელის—როდის მოაწყობს ჩვენი (?) თვითმართველობა შრომის ბირჟას?

იმ კითხვაზე, თუ როგორი „შრომის ბირჟაა“ საჭირო მუშებისათვის, შემდეგ წერილში ვეცდებით ვუპასუხოთ.

ი. ბ.—ძე

რედაქტორ-გამომცემელი დ. ბიგიბერია.

ელექტრონიო მბეჭდავი „შრომა“ ამხ.—სა, მიხეიდის ქ. № 65.

დამატება

ახალი დროება № 2

სიტყვების ახსნა.

ლ

ლოძი—პოლონეთის ქალაქია.

ლიმოჟი—საფრანგეთის ქალაქია.

ლოკაუტი— ხაზეინების გაფიცვა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ხაზეინები განზრახ კეტავენ ქარხნებს, აჩერებენ წარმოებას მუშების წელში გასატეხათ და მათი მოთხოვნების გასაბათილებლათ.

ლიბერალი—თავისუფალ წესწყობილების მომხრე. წარმომადგენელი ისეთი დაწესებულების, რომელიც მხოლოდ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ წესწყობილებაში შეიძლება. წევრი იმ პარტიისა, რომელიც პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თავისუფლებას ამყარებს კერძო საკუთრებაზე, რისთვისაც იბრძვის, როგორც აბსოლიუტიზმის, ე. ი. თვითმპყრობელობის, აგრეთვე სოციალიზმის წინააღმდეგაც.

ლიტერატურა—მწერლობა.

ლიტერატორი—მწერალი.

ლიტერატურული—მწერლობის შესახები.

ლივერპული – ინგლისის ქალაქია.

მ

მონარქი—მთავარი, მეფე, რომელიც თვითმპყრობელიც შეიძლება იყოს და განსაზღვრული თავის ნება-უფლებაში ძირითად კანონებით, ე. ი. კონსტიტუციით

მინისტრი—უმაღლეს დაწესებულებაში რომელიმე სახელმწიფო ნაწილის მმართველი,—ჩვენებურათ-ძველებურათ ვეზირი.

მანჩესტერი —ქალაქია ინგლისში.

მურგი —გერმანიის ქალაქია

მანჯურია—ჩინეთის სახელმწიფოს ნაწილი, რომლის გულისათვისაც რუსეთ-იაპონიის შორის ომი ატყდა.

მინიმალური—უფრო ცოტა, რომლის ნაკლები მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

მაქსიმალური—უფრო დიდი, უფრო მეტი, რომელიც სრულად და სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

მატერიალური— ნივთიერი, სულიერის წინააღმდეგ; მაგალითად, მატერიალური ინტერესი—არის ცხოვრების სახსარზე ზრუნვა.

მასსა—ხალხი, ბრბო, მთელი საზოგადოება.

ნ

ნაცია—ერი, რომელსაც ერთი ისტორიული წარსული, ენა, შთამომავლობა, სარწმუნოება, ჩვეულება და სხვა ერთი აქვთ.

ნაციონალური—ნაციის შესახები, ის, რაც ნაციის თვისებათ ითვლება.

ნაციონალიზმი—სურვილი და მისწრაფება თავის ნაციის განსაკუთრებული თვისებების შენახვისა,—იმის ამაღლება, ხანდახან მეზობელ ხალხის საზარალოთაც-კი.

ო

ორგანო—მთელის ნაწილი, რომელსაც თავისი განსაზღვრული დანიშნულება აქვს, მაგალითად, თვალი—მხედველობის ორგანოა, ყური—სმენის, გაზეთი—რომელიმე პარტიის, ან მიმდინარეობა მიმართულების ორგანოა და სხვა ამგვარი.

ორგანიზაცია—საერთო პროგრამით და გეგმით მოწყობილი ჯგუფი—საზოგადოებრივი ანუ პოლიტიკური პარტიისა, შინაურ და გარეგან საქმეების ხელმძღვანელათ.

ორგანიზაციული—ორგანიზაციის შესახები,—რაც ორგანიზაციის თვისებათ და კუთვნილებათ ითვლება.

ოპოზიცია—აშკარა წინააღმდეგობა არსებული წესწყობილებისა,—პოლიტიკაში—პარტიის წინააღმდეგობა მთავრობისაგან ანუ პარლამენტისაგან მიღებულ კანონ-პროექტისა. ოპოზიცია უმცირეს ნაწილს შეადგენს. წინააღმდეგობა იქნება რევოლიუციონური და არარევოლიუციონური.

ოპოზიციონური—ის, რაც ოპოზიციას შეეხება.

ოქტომბრისტების პარტია—დაარსებულია 1905 წ. 17 ოქტომბრის შემდეგ. პარტიის მიზანი დაარსების დროს 17 ოქტომბრის მანიფესტის შენარჩუნება იყო. ახლა-კი ოქტომბრისტების პარტიის მიზანია ძველი წესწყობილების მხოლოდ ცოტაოდენ „შეპაჩინკებით“ შენარჩუნება და ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ.—ეს წმინდა მსხვილი ბურჟუაზიის პარტიაა.

ოდესა—რუსეთის ქალაქია.

ოსმალეთი ანუ სათათრეთი—აზიის ერთ სახელმწიფოს სახელია.

პ

პოლიცია – მთავრობის დაწესებულება, რომელიც თვალყურს ადევნებს ყოველ-ნაირ უწესოებას, მეტადრე ბინების გარეთ, ქუჩაზე

პარტია—კავშირი ერთ-მოაზრე ადამიანთა, რომელნიც გარკვეული პროგრამითა და სამოქმედო ტაქტიკით ხელმძღვანელობენ. გავლენიანი პარტია უეჭველად საზოგადოების რომელიმე კლასის, ან წრის დიდი უმრავლესობის ინტერესების გამომხატველი უნდა იყოს.

პარტიული—ის, რაც პარტიას შეეხება.

პარიკმახერი—დალაქი.

პროვინცია – ნაწილი სახელმწიფოსი; ყველა ქალაქებს, სატახტო ქალაქებთან შედარებით, ეძახიან პროვინციას,—აგრეთვე დაბებსა და სოფლებს ქალაქებთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესია—ხელობა.

პოზიცია—ადგილი, მდგომარეობა.

პეტერბურგი—რუსეთის სატახტო ქალაქია.

პარლამენტი—ხალხის ამორჩეულთა კრება სახელმწიფო კითხვების გადასაწყვეტათ.

პარლამენტარული—ის, რაც პარლამენტს შეეხება.

პოლიტიკა—1. სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მიღება; 2. მთავრობის მოქმედება.

პოლიტიკური—ის, რაც პოლიტიკას შეეხება.

პროლეტარიატი—საზოგადოების ის ნაწილი, ან კლასი, რომელსაც თავის სამუშაო ძალის მეტი არაფერი არ გააჩნია, ესე იგი, არ აქვს საწარმოო იარაღები, კაპიტალი. ეს მთელი კლასის სახელია, ხოლო თითოეულ წევრს ამ კლასისა პროლეტარს ეძახიან.

პროლეტარული—ის, რაც პროლეტარიატს, პროლეტარს შეეხება.

პოდიეზდი—ბინის ანუ სახლის წინ მისავალი კარები.

პატრიოტი—თავის სამშობლოს მეტად (ზოგჯერ ბრმად) მოყვარული ადამიანი.

პროფესორი—უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი.

პრივატ-დოცენტი—ადამიანი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ლექციებს კითხულობს, მხოლოდ პროფესორობა ჯერ არ მიულია.

პრინციპი—დედა-აზრი, ხელმძღვანელი აზრი.

პარიჟი—საფრანგეთის სატახტო ქალაქი.

პერიოდი—განსაზღვრული ხანა, დრო, ნაწერებში თუ ნალაპარაკევში ერთგვარი გრძელი წინადადება; პერიოდული—განსაზღვრული დრო, დრო-გამოშვებითი.

პოლიტიკური ეკონომია, ან საპოლიტიკო ეკონომია—მეცნიერება, რომელიც არკვევს სახალხო მეურნეობას,—იმას, თუ როგორ მზადდება და ნაწილდება სახალხო სიმდიდრე საზოგადოების სხვა-და-სხვა კლასთა, ნაწილთა შორის.

(შემდეგი იქნება).

უმცირესი შენიშვნა „მცირე შენიშვნაზე".

—

გაზეთი „მეგობარი" „მცირე შენიშვნას" გვაძლევს „ახალ დროების" № 1-ში მოთავსებულ სიტყვების ახსნის შესახებ. ეს „შენიშვნა" შეეხება ორ სიტყვას—„ბელგია" და „ევროპა"-ს, არ მოსწონს გაზეთს ჩვენი ახსნა,—ეს სადაური „გეოგრაფიაა", (დედამიწის აღწერა), თითქოს ჩვენ „გეოგრაფიას" დავპირებოდით ჩვენ მკითხველებს! სადაური სადაო, ჩენო „მეგობარო"?!.. ნუ თუ რედაქციას არ ესმის მიზანი მაგგვარი „სიტყვების ახსნისა?!. „მეგობრისთვის" ჩვენ „გეოგრაფიას" არ ვწერთ, არც ენციკლოპედიურ ლექსიკონს ვადგენთ... ჩვენ მხოლოდ ჩვენი მკითხველები, ამხანაგები, მასსა გვყავს სახეში... ისინი-კი არ არიან „მეგობრებსავით" „ბედნიერნი", „უდიპლომო" ხალხია და „გიმნაზია" არ გაუთავებიათ... მათ გვინდა ჩვენ მივეშველოთ და, რაც შესაძლებელია, აღუსრულოთ,—ე. ი. მოკლე წინადადებაში თითოეული „უცხო" სიტყვის შემეცნება მივსცეთ. და ამ ცოტათი მაინც აღუძრათ სურვილი მეტი ცოდნისა... რასაკვირველია, „მეგობრისთვის" მეტი იყო საჭირო, მარა მათთვის ჩვენ არ გვცალიან... მაინც საინტერესო იყო, „მეგობრიდან" გაგვეგო, თუ სხვანაირათ უკეთ როგორ ახსნიდა ის ისეთსავე მოკლე წინადადებებით, როგორც ჩვენა გვაქვს, მაგ ორ სიტყვებს—„ბელგია" და „ევროპა"!.. კრიტიკა კარგია, მარა კრიტიკანობა-კი... უხასიათობაა, თუ სხვა რამე არა!.. მასთან „მეგობარს" მოსწონს-რა ჩვენი გაზეთის დანიშნულება, ძლიერ დაეჭვიანებულა,—ავასრულებთ თუ არა ამას, ვინაიდან ამას დიდი მომზადება უნდაო და სხვა ამგვარი. უნდა ვამცნოთ ჩვენს „მეგობარს", რომ ეჭვიანობისათვის და სხვა მაგგვარ „მეგობრულ" სულით-კვეთებისათვის არ სცალია დღეს პროლეტარიატს... და სანამ „კადეტებივით" დიპლომიანი პროფესორები გაუჩდებოდენ მას, ის მაინც თავის გზას არ უღალატებს და ყოველგვარ ტვირთს, რაც მას ისტორია აკისრებს,—მედგრათ გაიტანს ბოლომდე... „კადეტებს" და სხვა მაგგვარ „მეცნიერთ"-კი მაინც არ მოიწვევს თავის მეთაურებათ.

შეცდომის გასწორება.

—

„ახალ დროების" № 1-ში „შინაარსში" გამოტოვებულია—„10. სიტყვების ახსნა".

განცხადებანი.

გამოცემა წიგნის მაღაზია

„პოლხიდასი"

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებსა და იმერეთში აგრეთვე გაზეთების აგენტებთან მუშების თვითგანვითარებისათვის საჭირო ერთი სახელმძღვანელო წიგნთაგანი:

„როგორ ცხოვრობდენ ძველათ ადამიანები"

სურათებით დ. კუდრიავსკისა, თარგმანი ის. კვიცარიძისა. ფასი 20 კაპ.

(3—1)

თბილისის კანდიტერ-მებულკეების ბიურო აცხადებს:

რადგანაც სოფლებიდან და სხვა ქალაქებიდან ამ დაბოლო დროს ბლომათ ჩამოდიან ამხანაგები ადგილის საძებრად, ხოლო აქ-კი თავისუფალი ალაგი ძლიერ იშვიათია, ვაუწყებთ ამხანაგებს,—ნუ ჩამოვლენ მანამდის, სანამდი არ ვაცნობებთ.

კაუშირის ბიურო.

ახალი დროების

მუდმივ ხელის-მომწერლებს.

დღეიდან გაზ. „ახალი დროება" გამოდის ახალი რედაქციით. ჩემი მუდმივი ხელის-მომწერნი, რომელთაც არ ინებეს შემოტანილ ფულის უკან დაბრუნება, ჩემის შეთანხმებით ახალ რედაქციასთან, მიიღებენ შემდეგ №№ გაზეთისას.

ლ. ბახტაძე.